# სარბიელი

სპორტული გაზეთი   გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან   სამშაბათი, 16 დეკემბერი 1997 №163 (528)   ფასი 40 თეთრი




## მიხეილ ყაველაშვილი: ამბიციების დრო წავიდა

**მიშა ყაველაშვილი უთუოდ ნიჭიერი ფეხბურთელი რომ არის, ვფიქრობ, არავისთვისაა ახალი. რატომღაც თითქმის ყველას დაავიწყდა ის დრო, როცა მიშა ჯერ „დინამოში“ ბრწყინავდა, შემდეგ — „ალანიაში“. ბოლოს კი ისე აეწყო საქმე, „სიტის“ ძირითადშიც ვერ ხვდებოდა ხოლმე. ოპონენტები იტყვიან, რომელი მაღალი კლასის გუნდები „დინამო“ და „ალანია“ არიანო, მაგრამ იმ დროისთვის ხომ ეს კლუბები თავიანთი ქვეყნების ჩემპიონები გახდნენ. მერე „მანჩესტერ სიტი“ იყო, ყაველას დუბლშემადგენლობაში გკითხულობდით, გვიკვირდა, ეს „სიტი“ ისედაც დაქცეულია, ჩვენებურ მიშას რატომ არ ათამაშებენო, თუმცა... გუშინ ციურიხიდან დაბრუნებულმა ყაველამ გვითხრა:**

— მიჭირს საკუთარ თავზე ლაპარაკი. აქამდე, როცა „სიტიში“ ვთამაშობდი, მიძნელდებოდა ჩემი მდგომარეობის ახსნა, მაგრამ ალალად გეტყვი, გაუგებარი იყო, რატომ არ მათამაშებდნენ. წარმოიდგინე, გუნდი 9-10 თამაშს ზედიზედ აგებს, მწვრთნელი კი შემადგენლობას უცვლელს ტოვებს. რა უნდა მეთქვა? უბრალოდ, სწორად გამიგეთ, ტირილი და წუწუნი არ მჩვევია, არც ახლა ვამბობ რამეს, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, შანსი მოეცათ თავის გამოჩენისა? მერწმუნეთ, სეზონში სამიოთხი თამაში ფეხბურთელისთვის ზღვაში წვეთია. ახლა მთელი საქართველოს გასაგონად ვამბობ — ყაველას თავისი პოტენცია ბოლომდე არ ამოუწურავს. მე ჩემი თამაში წარმომაჩენს, სხვებსაც ამის მიხედვით შეაფასებენ.

**— ბოლო დროს „გრასჰოპერსში“ საკმაოდ ითამაშე. ჩვეულ ფორმაში ხარ?**

— ხომ გითხარი, ჩემი თამაშის შეფასება მიჭირს-მეთქი. მე ყოველთვის მჯეროდა ჩემი თავისა, ვიცოდი, ადრე თუ გვიან, უკეთესი დროება დამიდგებოდა. რაც მთავარია, სათამაშო პრაქტიკა შევიძინე, ფეხბურთელისთვის მთავარი კი სწორედ ესაა. ახლა არ ვიცი, ახალი მწვრთნელი გვყავს, მეორე წრიდან შემოგვიერთდება და თავადვე ყველაფერს გადაწყვეტს.

**— პირველი წრე პირველ ადგილზე ჩაამთავრეთ. როგორ გგონია, როლფ ფრინგერი შემადგენლობას გადაახალისებს?**

— რა გითხრათ, ეგ მწვრთნელის საქმეა. ფაქტი კია, „გრასჰოპერმა“ წლეულს რეკორდი დაამყარა, აქამდე ჩვენმა წინამორბედებმაც ვერ შეძლეს პირველი წრე ისე დაესრულებინათ, როგორც ჩვენ. როლფ ფრინგერის შესახებ თითქმის არაფერი ვიცი, გაზეთებიდან და ტელევიზიის მეშვეობით თუ შევიტყობდით რამეს. კლუბის პრეზიდენტმა კი გვითხრა, ახალი წლიდან ახალი მწვრთნელი გეყოლებათო, მაგრამ ძნელია, მხოლოდ იმის მიხედვით იმსჯელო, რაც გსმენია.

**— „გრასჰოპერში“ თავდასხმაში იშვიათად თუ ითამაშებ. ძირითადად ჰავბეკად გამწესებენ. თავის დროზე „დინამოშიც“ ასე იყო. თუმცა ყოველთვის ამბობდი, ჩემი ადგილი თავდასხმაშიაო.**

— მართალია, უმეტესად მარჯვენა ჰავბეკად ვთამაშობ, მაგრამ სულ არა. ხშირად ვიცვლი პოზიციებს, გააჩნია, რომელ მომენტში სად ვიქნები საჭირო. თავის ქაბაში თუ არ ჩამომართმევთ, გეტყვით, რომ მწვრთნელებს ყველა ამპლუაში ვუმართლებდი, რასაც მეტყოდნენ, იმას ვასრულებდი. თუმცა, ისევ ძველ აზრზე ვარ — ჩემი ადგილი თავდასხმაშია.

**— კი მაგრამ, „გრასჰოპერში“ მოლდოვანი და თურქილმაზი თამაშობენ. ალბათ, დიდი კონკურენციაა.**

— ჩვენ ძალიან კარგად შევეგუეთ ერთმანეთს, მშვენივრად შევთამაშდით. ორივენი მაღალი კლასის ფეხბურთელები არიან, როცა საჭიროა, მათ შემცვლელადაც მათამაშებენ. ორი აზრი არ არის, თურქილმაზი დღეს ნომერ პირველი ფეხბურთელია შვეიცარიაში, მაგრამ მაინც ვცდილობ, ამათ გვერდით მეც დავიმკვიდრო ადგილი, ახლა პირადი ამბიციების დრო წავიდა, პროფესიონალი ვარ, რადაც არ უნდა დამიჯდეს, ჩემსას მივაღწევ.

ჩვენებურების შვეიცარიაში თამაშზე ყოველთვის გაწვდიდით ინფორმაციებს, გოლი იქნებოდა თუ საგოლე პასი, ყაველას და ნემსოს მუდამ ვუკავშირდებოდით. ამჯერად კი, რა ღმერთი გაგვიწყრებოდა, თბილისში ჩამოსულებთან არ გვესაუბრა? მით უმეტეს, ორივენი ერთად იყვნენ...

**კობა ინასარიძე**

## გიორგი ნემსაძე: ყაველაშვილის ბავშვს მეზობლებმა უჩივლეს!

**ხუთდღიანი მგზავრობის შემდეგ გუშინ შვეიცარიიდან თბილისში დაბრუნდნენ ჩვენი ლეგიონერები — „გრასჰოპერის“ გია ნემსაძე და მიხეილ ყაველაშვილი**

**გია მხოლოდ საღამოს მოვიხელთე შინ. ახლობელ-მეგობრებს დანატრებულს ოჯახის წევრები რვის ნახევრამდე ელოდნენ. ხვევნა-კოცნა და ერთმანეთის მოსიყვარულება დიდხანს გაგრძელდა. შემდეგ კი გიას, როგორც იქნა, გავესაუბრე.**

**„ტრაბზონიდან“ უფრო ევროპულ „გრასჰოპერში“ გადასვლა ნემსოსთვის უდაოდ წინსვლა იყო. ალბათ, ამით იყო მისთვის ეს პერიოდი მნიშვნელოვანი. ამით დავიწყე გიასთან სუფრამდელი ინტერვიუ...**

— ჩემთვის ნებისმიერი სეზონი მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ წლევანდელი მათგან განსხვავდებოდა, რადგან „გრასჰოპერის“ დარ გუნდში ჯერ არ მეთამაშა. „ტრაბზონს“ მას ვერც შევადარებ, ისევე, როგორც შვეიცარიულ ჩემპიონატს თურქულს. ფეხბურთის ცოდნით თუ ფიზიკური მომზადებით ისინი დიდად განსხვავდებიან. მართალია, თურქეთში ბოლო დროს ფეხბურთის დონე ამაღლდა, რამდენიმე ვარსკვლავიც მიიწვიეს — ჰაჯი, ოკოჩა, ილიე, მწვრთნელებიც სახელიანები არიან, მაგრამ შვეიცარია მაინც თურქეთზე მაღლა დგას. თუმცა, რა თქმა უნდა, ისიც არ არის იდეალური. აქ მოთამაშეთა ბაზარია — ყიდულობენ და გერმანიის და ინგლისის უფრო მაღალი დონის გუნდებში ყიდიან. შვეიცარიის თითქმის ყველა გუნდი ამაზე მუშაობს.

**— შენი ყოფილი მწვრთნელი გროსი „ტოტენჰემში“ რომ გადავიდა, შენი ნათქვამი გამახსენდა — „კალიებთან“ სამწლიანი კონტრაქტი კი გავაფორმე, მაგრამ მითხრეს, ამდენ ხანს შენნაირი ფეხბურთელი ჩვენთან ვერ გაჩერდება, უკეთეს გუნდში გადასვლაში ხელს შეგიწყობთო. გამოჩნდა რაიმე პერსპექტივა, თუნდაც გროსის „ტოტენჰემში“?**

— გროსს თავისი პრობლემებიც ეყოფა, „ტოტენჰემს“ უჭირს და შესაძლოა, ახლა აღარც ახსოვს ციურიხელთა ნახევარმცველი ნემსაძე. როცა მდგომარეობას გამოასწორებს, მერე იქნებ გაგვიხსენოს კიდეც, მაგრამ ახლა ასეთი ლაპარაკი არ ყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ მეც და მიშა ყაველაშვილიც ძალიან მოვწონდით. ერთადერთი, ვისი წაყვანაც სურდა, თავდამსხმელი კუბილაი თურქილმაზი იყო, რადგან სამი თამაშის მანძილზე აკვირდებოდა ლონდონელთა თამაშს და ნახა, რომ თავდასხმაში მისი ახალი გუნდი აშკარად მოისუსტებს. თუმცა, თურქილმაზი ჯერაც „გრასჰოპერს“ ეკუთვნის, თავისუფალი აგენტი არ გამხდარა და ვერ გეტყვით, წავა თუ არა.

**— პოლონელებთან შეხვედრისას ნაკრებში უდაოდ საუკეთესო თამაში გამოგივიდა. ეს მხოლოდ წამიერი აღმაფრენა იყო თუ მართლა ასე გაგზარდა „გრასჰოპერმა“?**

— ვფიქრობ, ახლა ისეთ ასაკში ვარ, ყოველდღე რაღაც ახალი უნდა შევიძინო და ნაკრებისთვისაც უფრო სასარგებლო უნდა გავხდე. თანაც პოლონელებზე ჯავრის ამოყრა და ბოლო თამაშში გულშემატკივართა გახარებაც გვსურდა.

**— გროსის შემცვლელი ფრინგერი მისგან ბევრით განსხვავდება?**

— იცით, ფრინგერი გვაკვირდება, გუნდი კი ჯერაც არ გაუყვანია მოედანზე. იგი შვეიცარიის ნაკრებამდე „შტუტგარტს“



წარმატებით ავარჯიშებდა, ნაკრების რა გითხრათ, მაგრამ ის წარუმატებლობა რამ გამოიწვია, ვერ გეტყვით. ამის მიუხედავად, გუნდის თავკაცებს მისი სჯერათ. სეზონი კი გროსის ასისტენტმა დაამთავრა. ფრინგერი „გრასჰოპერს“ მხოლოდ ახალი წლიდან გაწვრთნის.

**— შვეიცარიას როგორ შეეგუე?**

— გერმანიაშიც კარგა ხანს ვცხოვრობდი და შემიძლია ვთქვა, რომ ევროპულ ყოფას შევეგუე. და მაინც, შვეიცარიაში ცხოვრება უფრო ძნელია, იქ ყველას და ყველაფერს აკონტროლებენ. ჩვენნაირი ტემპერამენტის ხალხს იქ მეტად გაუჭირდება. მაგალითს მოგიყვანთ: ყაველას წლის და ორი თვის ბავშვმა იტირა და მისმა მეზობელმა გუნდში რამდენჯერმე იჩივლა. მითხარით, ბავშვი როგორ გავაჩეროთ, გუნდში კი გვთხოვეს, იქნებ რამენაირად ეს შეძლოთო. გაგეცინება, მაგრამ ასეთი წესები აქვთ.

**— თავად ფეხბურთელები როგორები არიან?**

— საქმე ისაა, რომ გუნდში მხოლოდ ხუთი შვეიცარიელია, სამი იტალიელი, ორი თურქი, ორი ფრანგი და ერთიც ხორვატი. ამიტომ არ გვიჭირს. ყველაზე მეტად იტალიელებს — მაცარელის, ესპოზიტოს, განელ აჰინ-ფულს და თურქილმაზს დავუახლოვდი.

**მერაბ მამულაშვილი**

## ფიფას კონფედერაციათა თასი




## უფრთხილდით არაბთა სალამს

**ს. აფრიკა 0:1 საამიროები**

**ს. აფრიკა: არენდსე, მოტაუნგი, ჯექსონი (ნიატი 46), ფიში, ტოვი, მოეტი (ნდლენია 83), ნგობე, მოშოუ, მკალელე, ავგუსტინი (ვილიამსი 59), მასინგა**
**საამიროები: ფარა, მუბარაქი, რაშიდი, ახმედი, ობაიდი, ბაკიტი, ალი (აბდულ სალამი 67), საედ ახმედი, ალტალანი (საადი 67), გოლამი (მუნტერი 67), სალიმი**
**0:1 მუბარაქი (1)**

თამაში ხეირიანად არ დაწყებულიყო, არაბებმა ჯარიმის უფლება რომ მოიპოვეს — მუჰამედ ალის ჩაწოდებული „ბაფანა-ბაფანას“ მცველებმა ვერ მოიგერიეს და ჰასან მუბარაქმაც ტურნირის ყველაზე მალი გოლი შეაგდო — მეკარე ბურთს თითქოს მისწვდა, მაგრამ... ასე დაწინაურდნენ არაბები უკვე 45-ე წამზე (!). ორიოდ წუთში იმავე მუჰამედ ალის პასით მუსლიმთა კაპიტანს ადნან ალტალანის შეეძლო მეორის გატანა, მაგრამ დაახლოებით ორი მეტრიდან ვერ ივარგა. აზიელთა სახიფათო შეტევები ამით ამოიწურა, მერე კი აფრიკელები მიეძალნენ მეტოქის კარს, მაგრამ ვერას გამორჩნენ — გოლი არა და არ გადიოდა, რაშიც, ცხადია, დიდი წვლილი ფარასაც მიუძღვოდა.

პირველ ტაიმში აფრიკელთაგან მოშოუს შეეძლო გაყაიმება, მაგრამ ერთხელ ხარიხას მოარტყა, მეორედ კი მეკარეს. შესვენებამდე არაბებმაც სცადეს შეტევა, მაგრამ როგორც კი ცენტრს გადასცდნენ, იმავ წუთს მათ კარს საფრთხე დაემუქრა და გოლს ძლივს გადაურჩნენ. სწორედ ამის გამო იყო, მომდევნო 45 წუთი არაბები საკუთარ საჯარიმოში რომ დაბანაკდნენ.

შესვენების შემდეგ ერთობ ძლიერად ათამაშდა ფილ მასინგა, ლაღად და ლამაზადაც უტევდა და შეხვედრის საუკეთესო მოთამაშე უდავოდ ის იყო, მაგრამ გარჯა არა და არ დაუფასდა, არადა, საამისო შანსი არაერთი ჰქონდა. 67-ე წუთზე მისი ულამაზესი მაკრატელა ფარამ კუთხურზე მოიგერია, იქიდან კი სამხრეთაფრიკელებმა ვერ იხეირეს.

მოკლედ, აფრიკის ჩემპიონებმა მორიგი შეხვედრა წააგეს, თუმცა მარცხს ნაღდად არ იმსახურებდნენ. თქვა კიდეც „ბაფანა-ბაფანას“ თავკაცმა კლაივ ბარკერმა, სამართალი რომ ყოფილიყო, არ უნდა წაგვეგო, მაგრამ დღეს ბედი არ გვწყალობდაო.

სხვათა შორის, სამხრეთ აფრიკის ფეხბურთის ფედერაციამ შესაძლო ნაკრების ორი წევრი, კაპიტანი ლუკას რადებე და ერიკ ტინკლერი მკაცრად დასაჯოს. ორივე პრემიერლიგაში თამაშობს და უქმეებზე კლუბების ღირსებას იცავდნენ, საამიროებთან მატჩისთვის კი საუდის არაბეთში შეთანხმებულზე გვიან ჩა ვიდნენ, რის გამოც გუშინდელ შეხვედრაში თავისიანებს ვერ დაეხმარნენ. ფეხბურთელთაგან დაღალატებამ ნაკრების ხელმძღვანელობა, განსაკუთრებით კი ქვეყნის ფეხბურთის მამები ძლიერ აღაშფოთა, თქვეს კიდეც, მაგათ ქვეყნის ღირსება შეურაცხყვეს და აწი ნახონ, რა მკაცრადაც მოვკითხავთო.

## ახალი ურუგვაელები

**ურუგვაი 2:1 ჩეხეთი**

**ურუგვაი: ფლორესი, ლოპესი, მონტერო, მენდესი, დე ლოს სანტოსი, ადინოლფი, გარსია, ვესპა (ერნანდესი 86), სილვა (კალეხასი 76), ზალაიეტა, ოლივერა (რეკობა 65)**
**ჩეხეთი: სრნიჩეკი, ჰორნეკი (კოზელი 68), სვობოდა, რადა, ვლაჩეკი, ლასოტა (ფრიდეკი 46), ნედვედი, პობორსკი, ბეიბლი, კუკა (ზიგლი 60), შმიცერი**
**1:0 ოლივერა (25), 2:0 ზალაიეტა (87), 2:1 ზიგლი (89)**

სამხრეთამერიკელები ნახევარფინალში გავიდნენ: ორმა მოგებამ ურუგვაელები მომდევნო წრეში გაიყვანა, თუმცა თუ მათი თამაშების მიხედვით ვიმსჯელებთ, ისინი ნახევარფინალს კი არა, ჩემპიონობასაც იმსახურებენ, რადგან აქამდე არც ერთ გუნდს ასე კარგად არ უთამაშია.

პირველ მატჩში მათგან საამიროების ძლევა არავის გაკვირვებია, წესით და რიგით, ასეც უნდა მომხდარიყო, მაგრამ ჩეხებთან მათი შეხვედრის შედეგის წინასწარმეტყველება, ცოტა არ იყოს, ჭირდა, რადგან მეტოქე სხვა თუ არაფერი, ევროპის ვიცე-ჩემპიონია.

გუშინ საათნახევარში ყველაფერი გაირკვა. თამაში საკმაოდ კარგი სანახავი გამოდგა, ეგაა, ბოლოს მოთამაშეთა დაღლამ მატჩს თავისი კვალი მაინც დაატყო. შესაძლოა, სწორედ დაღლის ბრალი იყო, ბოლო წუთებზე ორი გოლი რომ გავიდა — ზალაიეტამაც და ზიგლიმაც აშკარად მცველთა მოდუნების გამო იხეირეს.

მოკლედ, საკმაოდ საინტერესო შეხვედრაში დაძაბულობაც საკმაო იყო. პირველ ტაიმში ურუგვაელთა უპირატესობა მცირედი თუ იყო, მეორე ნახევარში მათ აშკარად იძალეს. ეს კი სამხრეთამერიკელთა უფრო ახალგაზრდული შემადგენლობით აიხსნება. ურუგვაელებმა რამდენიმე ფეხბურთელი იმ ნაკრებიდან დაიმატეს, ზაფხულში მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში რომ ითამაშეს. სწორედ იმ გუნდიდანაა ოლივერა, რომელსაც აშკარად ეტყობა, მომავალში ქვეყნის ნაკრების ლიდერობა მოუწევს, ყოველ შემთხვევაში, მისი დღევანდელი თამაში ამის ვარაუდის საფუძველს იძლევა. ოლივერამ მეორე მატჩშიც გოლი გაიტანა, ამასთან შესანიშნავად ითამაშა და გუნდის გამარჯვებაშიც დიდი წილი დაიდო. ზემოთ მეორე ტაიმში ურუგვაელთა საგრძნობ უპირატესობაზე ვთქვით, ეს კი პირველ რიგში მათი მეტოქის კაცნაკლულობამაც გამოიწვია — მე-40 წუთზე ევროპელთა თმაგრძელმა ნახევარმცველმა კარელ პობორსკიმ ოლივერას ძირს დაგდება არ აკმარა და წაქცეულს წიხლიც ჩააზილა, რის გამოც, ცხადია, გასახდელში მიაბრძანეს. ისე, ევროპის ჩემპიონატის შემდეგ პობორსკის, ისევე, როგორც მთელ ჩეხეთის ნაკრებს, ხეირიანი არაფერი გაუკეთებია და ალბათ ამიტომაცაა, მუდამ გაუწონასწორებელნი რომ თამაშობენ. რაც შეეხება ბოლო სამ წუთში გასულ ორ გოლს, პირველ შემთხვევაში ჩეხების ორმა შუა მცველმა კალეხასის ფლანგური ჩაწოდების ჩაჭრა ვერ შეძლო და ზალაიეტამაც ეფექტური დარტყმით ანგარიშის სხვაობა გაზარდა, ორ წუთში კი პრაღის „სპარტას“ თავდამსხმელმა ჰორსტ ზიგლიმ მეურვეს შეცდომა არ აპატია და გულის მოსაფხანი გოლიღა გაიტანა.

**ლაშა გოდუაძე**

**B ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ურუგვაი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| საამიროები | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| ჩეხეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| ს. აფრიკა | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |

## ქინქლაძის თავისუფლება 8 მილიონი ღირს

— „სიტიდან“ თავისუფალი ხარ, ოღონდ ერთი პირობით — შენს საფასურად 8 მილიონი გირვანქა უნდა მივიღოთ — უთქვამს გიორგი ქინქლაძისთვის „სიტის“ პრეზიდენტს ფრენსის ლის. სულ არარაობას და მუდმივ გაურკვევლობას, ცხადია, ეს პასუხი სჯობს, მაგრამ როდის დაადგება საშველი გიოს გაჯანჯლებულ ყოფას „სიტიში“, კვლავაც ძნელი სათქმელია — ლონდონიდან გვაცნობა ჩვენმა კორესპონდენტმა *ზურაბ მეძველიამ.*



ელგუჯა გუგუშვილი

# გუგუშვილი გერმანიაში იმუშავებს

დებიუტანტი ეძახე და „მორკინალი" ყველასთვის ანგარიშგასაწევ ძალად ჩამოყალიბდა. ერთიმეორის მიყოლებით ყველა ლიდერს გვარიანი ბრძოლა გაუმართა. ეს უდაოდ მწვრთნელის დამსახურებაა. ელგუჯა გუგუშვილთან საუბარიც პირველი წრის ანალიზით დავიწყეთ.

— პირველ წრეს სამ ეტაპად დავყოფ. სტარტი მშვენიერი გამოგვივიდა, ქულებიც მოვიპოვეთ და ლამაზადაც ვთამაშობდით. შუაგულში წავიფორთხილეთ, ენტშპილდში, ანუ დამამთავრებელ ეტაპი კი, ჩემი აზრით, ბრწყინვალედ დავამთავრეთ. განსაკუთრებით „დინამოსთან" შეხვედრებს აღვნიშნავდი: თასზე წაგებული მატჩის შემდეგ ჩემპიონატში ფრედ ვითამაშეთ და განმეორებითი მატჩი მოვუგეთ. ეს ჩემთვის მით უფრო სასიამოვნოა, რომ „დინამოს" 1994 წლის შემდეგ თბილისში თამაში არ წაუგია.

ერთიანობაში დებიუტანტისთვის მეშვიდე ადგილი ურიგო შედეგად არ მიმაჩნია. თანაც მეორე წრე წინ არის, მეოთხე ადგილზე მყოფს კი მხოლოდ ოთხი ქულით ჩამოვრჩებით. ასე რომ, შედეგის გაუმჯობესებაც შეიძლება. გუნდის ბირთვს ის ფეხბურთელები შეადგენენ, რომლებთანაც კარგა ხანია, ვმუშაობ. სეზონის წინ იყო აზრი, რომ მათ I ჯგუფში გაუჭირდებოდათ და ახლების მოწვევა აჯობებდა. მე ჩემი მოთამაშეების მჯეროდა. „დინამოსთან" მხოლოდ ძველებმა ითამაშეს და მოვიგეთ კიდეც. ესე იგი არ ვცდებოდი. მათთან გარკვეული პერიოდით მუშაობა, დარწმუნებული ვარ, გაცილებით დიდ შედეგს მოიტანს.

**— დამატებული მოთამაშეები თქვენს სქემებს მოერგნენ?**

— მათ გარკვეულ წილად გაიგეს, რა მოთხოვნებს ვუყენებდით საერთოდ ფეხბურთელს.

**— როგორ ახსნით შუაგულ ჩემპიონატში ჩავარდნას?**

— შეიქმნა მცდარი აზრი, რომ გუნდი გადამწვარია. გარდა ამისა, იყო სხვა ნიუანსებიც. ფეხბურთში წვრილმანი არ არსებობს. ყველა წვრილმანი მნიშვნელოვანია. ეს ყველაფერზე ახდენს გავლენას.

**— უფრო კონკრეტულად, ვერ ვხვდები...**

— „გურიასთან" შეხვედრის წინ გაირკვა, რომ რატომღაც მოედანზე გუნდი მე არ უნდა გამეყვანა. თუმცა, გუნდიდან არ მიშვებდნენ, რადგანაც „მორკინალის" ერთ-ერთი დამფუძნებელი მეც გახლავართ, იგი ჩემი პირმშოა. თუ დაშორება იყო, მაშინ სურვილი ჩემგან უნდა წამოსულიყო. 25 წელი გუნდი ზარდო და ერთ დღეს არაფრის გულისთვის გითხრან, საჭირო აღარ ხარო, შეუძლებელია. პრინციპში, ზუსტად ახლაც არ ვიცი, რა მოხდა. ხელმძღვანელობის წარმომადგენელმა დელიკატურად მითხრა, მხოლოდ ლანჩხუთში „მორკინალს" არჩვაძე გაიყვანსო. ეს ჩემთვის მოულოდნელი იყო. თამაში პარასკევს გაიმართა, მაგრამ შაბათს ისევ მთავარი მწვრთნელი ვიყავი.

**— რა, ერთდღიან შვებულებაში გაგიშვეს?**

— ხომ გეუბნებით, არ ვიცი, რა ექსპერიმენტი ჩატარდა.

**— ეს გაურკვევლობა დღეისათვის მოისპო?**

— ვიცი, ხელმძღვანელებს სჯერათ, რომ „მორკინალი" სწორ გზაზე დგას. ჩემს ნათქვამს კუდები რომ არ გამოება მსურს, განვმარტო ვითარება, ჩემს და უფროსობას შორის არანაირი კონფლიქტი არ არსებობს. პირიქით, ჯონი გიგანს, ბესო ხარძიანს, დათო ქარაულსა და დათო კერესელიძეს „მორკინალის" წინაშე დიდი ღვაწლი მიუძღვით. მათთან კაცური, მეგობრული ურთიერთობა მაქვს. დამიჯერეთ, ამას მხოლოდ საგაზეთოდ არ ვამბობ. ეს მართლაც ასეა.

**— სწორედ „გურიასთან" შეხვედრამდე გუნდში თქვენთვის არასასიამოვნო ამბავიც მოხდა. ფეხბურთელებმა პატარა ამბოხი მოაწყვეს და მოითხოვეს, დატვირთვები შეგვიმცირებინათ...**

— დიახ, ეს მართალია, მაგრამ არ დავმალავ, ალბათ შევცდი მოთამაშეთა აზრი რომ გავიზიარე. ჩავარდნა სწორედ მაშინ მოხდა, როცა ორჯერად ვარჯიშები მხოლოდ ერთით შევცვალე. მაგრამ მარტო მოთამაშეთა მოთხოვნის გამო არ შემიმცირებია დატვირთვები. ფეხბურთელებს ტრავმები აწუხებდათ. გარდა ამისა, სხვა მიზეზებიც იყო.

**— თქვენ ლობანოვსკის მიმდევარი ბრძანდებით. არსებობს აზრი, გუგუშვილს ყველაფერში მისი მიბაძვა არას არგებს, ქართველები სლავები არ არიანო...**

— ბევრჯერ მსმენია იმ სხვებისგან წუწუნი, ქართველები ფიზიკურად მოვიკოჭლებთო. მაგრამ ამ მხრივ ვინ რას აკეთებს? ხომ უნდა გავიგოთ თანამედროვე ფეხბურთის მაჯისცემა? არ ვუყუროთ სხვას და ერთ ადგილას გავჩერდეთ? ფეხბურთში გამძლეობის, ძალისა და სისწრაფის გარეშე მოთამაშე და გუნდი ვერ იხეირებს. სამივე კი ძლიერი ფიზიკური მომზადებით მიიღწევა.

**— თქვენ ფიქრობთ, რომ „მორკინალში" ეს შეძელით?**

— მე რომ მინდა, იმის მესამედითაც ვერ ვტვირთავ ფეხბურთელებს. მიზეზსაც მოგახსენებთ. ჩვენი მოთამაშეები ბავშვობიდან გაზარმაცებულები არიან. მათთვის წარმოუდგენელია ვარჯიშიდან ძალაგამოცლილი წასვლა. ჩემი სავსებით ნორმალური მოთხოვნა უკვირთ და უცხოობენ. აბა, სხვაგვარად ორივე ტაიმს როგორ ითამაშებენ? მე გუნდს მხოლოდ პირველი ტაიმისთვის არ ვამზადებ. ახლა დატვირთვებს გავზრდი და უკეთესი შედეგის იმედი მაქვს.

**— დიდი დატვირთვების შემდეგ ფეხბურთელებს ძალების აღდგენა სჭირდებათ, რისი საშუალებაც „მორკინალის" წევრებს არა აქვთ. ასე ხომ ფეხბურთელი გამოიფიტება?**

— მთავარია, დატვირთვები სწორად გამოთვალო და გონივრულად ჩამოაყალიბო, თორემ არა მარტო გამოიფიტება, ტრავმებითაც გაწვალდება. ჩვენთან არც ერთი მოთამაშე არ გადაღლილა, ტრავმებიც ვარჯიშით გამოწვეული არ ყოფილა. ვიმეორებ, ევროპელებისათვის სავსებით ნორმალურ დატვირთვებს მოთამაშეები უნდა მივაჩვიოთ. ჩვენს პირობებშიც კი სავსებით შესაძლებელია, აღდგენითი პროცესი ნორმალურ დონეზე გვქონდეს. ყველა გუნდს ექიმი ჰყავს და მათ ხომ სხვა არა ევალებათ? მხედველობაში მაქვს ვიტამინოთერაპია, ფიზიოთერაპია, რაც განსაკუთრებულ თანხებს არ საჭიროებს, მაგრამ ახალი მეთოდებით ცოტა თუ მუშაობს. ეს სიკეთეს არ მოგვიტანს. პროგრესულად მოაზროვნენი კი თითქმის არ ჩანან. მე ჯერ კიდევ 20 წლის წინ სისინებდნენ გუგუშვილი ფეხბურთელს კლავსო. მაგრამ უცხოეთში წასასვლელად გამზადებული ღუდუშაური, ზირაქიშვილი და გოგოლაძე ჩვენთან რატომ ვარჯიშობენ? იმიტომ, რომ იციან, ევროპისთვის როგორი მომზადება სჭირდებათ. გარდა ამისა, ისიც გავიხსენოთ, რომ „მორკინალის" სამი წევრი გუცაევმა ნაკრებში გამოიძახა. ეს რა შემთხვევითია? გუგუშვილი მაინც კრიტიკის ცენტრშია. მე ძველი მეთოდებით მუშაობა არ მსურს და შემდეგშიც არ ვაპირებ. ჩვენ პრინციპულ თამაშებში თავი არ შეგვირცხვენია — „ბათუმთან", „კოლხეთთან", „დინამოსთან", „ტორპედოსთან" და თსუსთან თამაშების სტატისტიკა ამაზე მეტყველებს, ესე იგი ჩემი მეთოდები მთლად ურიგო არ არის. ჩვენ გუნდში ვარსკვლავები არა გვყავს. მათთან მუშაობა მხოლოდ მაშინ გამოიღებს შედეგს თუ ფიზიკურად მოვალონიერებ. მხოლოდ ამ შემთხვევაში ექნება „მორკინალს" მეტოქესთან ბრძოლის უნარი.

**— ლიდერებთან კი იბრძვით, მაგრამ უფრო სუსტებთან რა გემართებათ?**

— აუტსაიდერებთან წაგებები, კარგად თუ გავიხსენებთ, სწორედ იმ ავადმოსაგონარ ჩავარდნის პერიოდზე მოდის. მაშინ 12 შესაძლებლობიდან მხოლოდ ერთი ქულა მოვიპოვეთ.

**— მეორე წრეში თამაშის გაუმჯობესებას რის ხარჯზე აპირებთ?**

— თამაშის ხარისხს მოთამაშეთა ოსტატობა განაპირობებს, ამ მხრივ კი გაურკვევლად ვარ, „მორკინალის" წევრთა თითქმის ნახევარს კონტრაქტი დაუმთავრდა. არ ვიცი, ვინ წავა და ვინ დარჩება. მართალია ჯერ კიდევ სექტემბერში ვამზადებდი ახალგაზრდებს მათ შემცვლელებად, მაგრამ ძნელია, გამოუცდელს შემადგენლობაში ადგილი მიანდო. რა თქმა უნდა, მსურს, შეძლებისდაგვარად მაღალი დონის მოთამაშეები მოვიწვიო, მაგრამ ეს მეტად ძნელია. თამაშის ხარისხის გაუმჯობესებას ისევ ფეხბურთელთა ფუნქციონალური და ტაქტიკური მომზადების ხარჯზე ვაპირებ. სხვაგვარად ვერაფერს შევძლებთ. თუმცა, მოთამაშეთა წასვლა სულაც არ მაშინებს. დამიჯერეთ, „მორკინალი" მალე უფრო სოლიდური გუნდი გახდება. მე მჯერა ფეხბურთელების და მეთოდების. გუნდში მოვიწვევ მებრძოლ, თანამედროვე ფეხბურთის ალღოს მქონეთ, ჟონგლიორებს და თამაშის დროს მხოლოდ ერთი პასის გამკეთებელს ვერ ვენდობი. ისინი ჩემ მოთხოვნებს ვერ პასუხობენ. თუ ფეხბურთელს ფულის გარდა მიზანი არ გააჩნია, იგი წყალწაღებულია. „მორკინალს" ასეთებიც არ სჭირდება.

**— თქვენი საუბრიდან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ „თავისუფალ მხატვართა" წინააღმდეგი ბრძანდებით...**

— ასეც არ არის; ერთი-ორი ასეთი მოთამაშეც საჭიროა, მაგრამ დანარჩენები გუნდის საერთო სტრუქტურას უნდა ექვემდებარებოდნენ, რადგან „მორკინალის" თამაში კოლექტიურ ფეხბურთს ეფუძნება, ინდივიდუალიზმს გასაქანს არ ვაძლევთ.

**— მომზადებას სად და როგორ აპირებთ?**

— მეორე წრისთვის მზადებას 18 დეკემბერს, თბილისში დავიწყებთ. შემდგომ გეგმებზე ჯერ ვერაფერს გეტყვით, რადგან იგი ჩვენს ფინანსურ შესაძლებლობაზეა დამოკიდებული. ვარჯიშების სტრუქტურა ამგვარი იქნება: თავიდან გამძლეობის განვითარებაზე ვიმუშავებთ, შემდეგ — სისწრაფის, ბოლო ორ თვეს ყურადღებას ტაქტიკაზე გადავიტანთ. ყოველ მეხუთე დღეს კი საკონტროლო შეხვედრების ჩატარებას ვაპირებთ: თავდაპირველად სუსტ მეტოქეებთან, შემდეგ კი უფრო ძლიერებთან, მომზადების სუსტი მხარეები რომ დავინახოთ და დროზე გამოვასწოროთ.

**— მომზადებისას ტრადიციულად, ალბათ, მინი-ფეხბურთის ტურნირსაც ითამაშებთ...**

— რა თქმა უნდა, მინი-ფეხბურთის ტურნირი მომზადებისას აუცილებლადაც მიმაჩნია. თანაც ზაზა ბენდელიანი ჩვენთან თამაშობდა და ტურნირში მონაწილეობა, სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ჩვენი მოვალეობაც არის.

**— ბოლოს თქვენ გეგმებზეც შეგეკითხებით. სეზონის წინ ბრძანეთ, შესაძლოა, ისევ თურქმენეთში დავბრუნდე ან არაბთა გაერთიანებულ საემიროებში ვიმუშაოო. არის რაიმე სიახლე?**

— ამ ოთხი თვის წინ თბილისში თემურ ქეცბაიას კვიპროსელი მენეჯერი იყო ჩამოსული. მან კუნძულზე მუშაობა შემომთავაზა, მაგრამ მაშინ გაუმართლებლად მივიჩნიე „მორკინალის" მიტოვება, ამ გუნდთან ხომ მთელი ჩემი ცხოვრებაა დაკავშირებული. სწორედ ამ მიზეზის გამო ვერ მივიღე არაბთა „აბინასერის" წინადადება — ისინი სამწლიან კონტრაქტს მთავაზობდნენ. სამი წლით ვერც გუნდს მოვწყდები, ვერც ოჯახს და ვერც ზოოვეტერინალურ ინსტიტუტს. ერთწლიანი კონტრაქტი სხვა საქმეა.

ისე, ერთ საიდუმლოსაც გაგიმხელთ — ორ კვირაში, შესაძლოა, გერმანიაში გადავბარგდე.

**— გერმანიაში?**

— დიახ, მეორე ბუნდესლიგის გუნდში. მაგრამ ამაზე შევჩერდეთ, წინასწარ საუბარი არ მსურს.

**მერაბ მამულაშვილი**



თავიდან კუტივაძემ (მარცხნივ) და ფრუიძემ შეხმატკბილებულად დაიწყ…

# როქი ქუთაისურად

ასე თუ გაგრძელდა, ქართველები კიდევ ერთ რეკორდს დავამყარებთ — ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრე ჩამთავრდა და ქუთაისის „ტორპედოს" თავკაცი სერგო კუტივაძე მერვე აღმოჩნდა იმ მწვრთნელთა შორის, რომლებიც კლუბების მეპატრონეებმა სეზონის მიმდინარეობისას სხვადასხვა მიზეზით გაათავისუფლეს თანამდებობიდან. დიახ, გუშინ „ტორპედოს" პრეზიდენტმა მოარული ხმები დაგვიდასტურა: „კლუბის დამფუძნებელთა სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, სერგო კუტივაძე განთავისუფლებულია მწვრთნელის პოსტიდან". ბესო ჯიქიამ ყოველგვარ კომენტარზე თავი შეიკავა, კუტივაძის გუნდიდან დათხოვნის მიზეზს ჯერჯერობით ვერ გეტყვით, მაგრამ პირობას გაძლევთ, მეორე წრის დაწყებამდე ყველაფერს შეგატყობინებთო. პრეზიდენტმა მხოლოდ „ტორპედოს" ახალი მწვრთნელის ვინაობა გვაცნობა, თუმცა რაღა ახლის, კუტივაძემ ხომ მწვრთნელის პოსტზე სწორედ ის სოსო ფრუიძე შეიწირა, რომელიც ახლა უკვე ექვსთვიანი კონტრაქტის საფუძველზე ქუთაისელთა დამრიგებელი იქნება.

შეგახსენებთ, სერგო კუტივაძე „ტორპედოს" მეექვსე ტურიდან ხელმძღვანელობდა, ჩემპიონატის მატჩებიდან „ტორპედომ" კუტივაძის თავკაცობით ოთხჯერ მოიგო, ამდენჯერვე ფრედ ითა… შა, ორჯერ კი წააგო. ქუთათურთა უ… როსობასაც, ალბათ, არ აკმაყოფილე… ევროთასებისათვის მებრძოლი კლუ… ასეთი მონაგარი და მწვრთნელიც ხ… მეორედ შეცვალა. თუმცა, ეს ჩვენი … რაუდია, სინამდვილეში კი რას ფიქრ… ჯიქია და კომპანია, დღეისთვის უც… ბია.

თავად სერგო კუტივაძეს არაფ… სცოდნია მისი თანამდებობიდან გან… ვისუფლების შესახებ: „მე არაფერი … ცი, „ტორპედოს" პრეზიდენტი, ბო… დღეებია, არ მინახავს. თუ მართლაც … დაწყვიტეს ჩემი გაშვება, აქამდე … უნდა ეთქვათ? ვიმეორებ, არავის უ… პარაკია ამ საკითხზე, მეც სხვათ… გავიგე. ჯიქიას რამდენჯერმე დავუ… კე, მაგრამ ვერსად დავიჭირე. ისე … ერთმანეთს ძალიან ნორმალურად … შორდით. როცა შვებულებაში მოვე… დი, საქმეს ასეთი პირი არ უჩანდა"… სანამ ბესო ჯიქიას შევეხმიანებო… მანამ გვითხრა კუტივაძემ.

დღევანდელი „სარბიელი", ალბათ, … ამავლის მოვალეობას შეასრულებს … სერგო კუტივაძეც დღეს დარწმუნდ… მწვრთნელობიდან რომ გაათავისუფ… თუმცა, იქნებ უკვე აცნობეს კიდეც „… რპედოში" მორიგი როქის თაობაზე…

**ქობა ინასარ…**



# ნუგეშად ერთიღა დაგვრჩ…

ისევ პატარა ქართველი ბიჭუნების წარმატებით თუ გავიხარებთ ტურნირ… ჩაივლის ჩვენებურების მონაწილეობით, ქართველმა ბავშვებმა რაიმეს არ მ… წიონ. ასე იყო ახლაც. 1-დან 7 დეკემბრამდე იტალიის ზღვისპირა რიმინი ოთ… საერთაშორისო ტურნირს მასპინძლობდა. საქართველოს ს. კ. „რაჭა" წარად… ნდა. 10-11 წლის ქართველებმა ჯერ რიმინის „კალჩიო" დაამარცხეს 4:…, შემ… „ოლიმპიკი" 3:2, ბოლოს კი „მილანთან" 0:0 ითამაშეს და პირველობაც მოიპო… ტურნირამდე კი ჩვენებმა ამხანაგურად ადგილობრივი საფეხბურთო კლუ… მოზარდებს 3:0 სძლიეს, თანაც ისე, იტალიელები გაოცებულნი რომ შეჰყურებ… ქართველთა ბურთაობას.

ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ ორგანიზატორებმა გიორგი აზარიაშ… დაასახელეს, ყველაზე ტექნიკური ფეხბურთელის პრიზით გიორგი კახელიშ… დაასაჩუქრეს, საუკეთესო მცველად გურამ დოლიძე აღიარეს.

ეს ფოტო კი ემიკო გოცირიძისა და ილია ხიპაშვილის აღსაზრდელებმა … ლიელ „თანატოლებთან" ერთად გადაიღეს მასპინძლებისავე სურვილით.

სარეკლამო სააგენტო
კოკი და კომპანი…
რეკლამის დამზადება
1. ფარების დამზადება, მოხატვა და განთავსება მოკლე ვად…
2. განათებული აბრების დამზადება
3. ფერადი წებოვანი რეკლამები
4. სარეკლამო საათებზე რეკლამის განთავსება
კომპიუტერული მომსახურება
ესკიზების, ბუკლეტების, სავიზიტო და მოსაწვევი ბარათების დამზად…
25% ფასდაკლებით!
მისამართი: ალ. ყაზბეგის 42
ვაჭრობის სამინისტრო, 2 კორ. 3 სარ.
ტელ. 95 96 5…

# დავიღალე, ძილი მინდა!

## მუჯირი ესპანეთისკენ იხედება



[ნა]მიც და მუმუ პოლონელებს საბოლოოდ გაამწარებს

ამასწინათ მარტენ ოლსენის ინტერვიუ წავიკითხე. ამსტერდამელთა მწვრთნელი ამბობდა, „აიაქსის“ გულშემატკივარი არამარტო მოგებას, ლამაზად მოგებასაც სთხოვსო. სხვისი არ ვიცი და ქართველებიც ასე ვართ, გინდ გუნდი იყოს, გინდ ფეხბურთელი, თუ მასში რამე ეფექტური არ დავინახეთ, გულთან ახლოს ძნელად თუ მივუშვებთ. ფეხბურთისგან ხომ ყველანი სიამოვნებას ველით. გასულ სეზონში ასეთი სიამოვნება რამდენჯერმე მოგვანიჭა დათო მუჯირმა.

მუმუ მხოლოდ 19 წლის გახლავთ, მაგრამ „დინამოში“ კი უკვე მყარად დამკვიდრდა. უმისოდ გუნდი წარმოუდგენლადაც ჩანს. დათომ ჯიგრიანი, აზრიანი, თვალისთვის საამო ფეხბურთელობით პატივისცემა დაიმსახურა და თვალსაჩინოთა შორის აღზევდა.

რთული, ჯაფით აღსავსე გზა კი ჯერ კიდევ წინ არის და თუ ისიც ძველებურად გაიარა... ყოველ შემთხვევაში, დინამოელთა ერთ-ერთ მწვრთნელ ზურაბ მისურაძეს მისი იმედი აქვს, დათო ისეთი ენერგიული და აზრიანია, მჯერა, ვარსკვლავი გახდებაო. ფეხბურთელის ოჯახში გაზრდილს პროფესიონალად ჩამოყალიბებაც არ უნდა გაუჭირდეს, საქმისადმი მის დამოკიდებულებასაც თუ გავითვალისწინებთ, იმედია, მწვრთნელის ნატყვებსაც გაამართლებს.

...ახლა დათო ისვენებს, შეუძლია დილაადრიანად არ წამოდგეს, თავს ძილის უფლება მისცეს, სეზონი ხომ მიილია. ჩვენი პირველი შეხვედრაც ამიტომ გადაიდო, ძილი გაუგრძელდა.

...მიღწევები და ჩავარდნები, „დინამო“ და ახალგაზრდული ნაკრები — გასულმა სეზონმა სასაუბრო თემა თავად შემოგვთავაზა.

დათო სეზონით კმაყოფილია, თუმცა, ყველაფერს საღად აფასებს: „მადლობა ღმერთს, თითქმის წელიწადნახევრიანი იძულებითი შესვენების შემდეგ ფორმის აღდგენა მოვახერხე, გუნდშიც და ახალგაზრდულ ნაკრებშიც დავმკვიდრდი. ბავშვობის ოცნება ამიხდა, „დინამოში“ ვთამაშობ, ევროთასების პირველ ხუთ შეხვედრაში ხუთი გოლის გატანაც შევძელი, ეს მეტად მახარებს. მაგრამ სრული კმაყოფილება მაინც არ მიგრძვნია, ეუფას თასის ბოლო შეხვედრები აშკარად ჩავაგდე. როგორც ჩანს, ასაკმა და გამოუცდელობამ მაინც თავისი გაიტანა. არც მიკვირს, მხოლოდ წელს დავმკვიდრდი შემადგენლობაში და ერთი ამოსუნთქვით მისი ჩატარება გამიჭირდა“.

კარგად გასახსენებელსაც რა დაუღევს: „პოლონეთის ახალგაზრდულებთან შეხვედრამდე ძალები აღვიდგინე, ჩემპიონატის ბოლო თამაშებშიც შევძელი ბურთების გატანა, მაგრამ გული მწყდება, 10 გოლი ხომ ჩემსავით კიდევ სამმა ფეხბურთელმა მიითვალა. თუმცა, ჩემპიონატის დაწყებამდე ბომბარდირობაზე არც მიფიქრია“.

ახალგაზრდულ გუნდში და განსაკუთრებით პოლონელებთან მუმუს გამოსვლა უდაოდ აღსანიშნავია. ჩინებულ თამაშს გვირგვინი ბოლო წუთზე დაადგა, ფინტებით მცველებს თავბრუ დაახვია და მოჭრილი დარტყმით ბურთი პოლონელთა კარის ცხრიანში გაახვია. რა დამავიწყებს მაყურებელთა სიხარულსა და განცდას — ამ თამაშმა და მუჯირის გოლმა მათ ახალი 13 მაისის იმედი აღუდგინა. არა მგონია, ვაჭარბებდე. ჩემდა გასაოცრად, დათო სიხარულის ნაცვლად გასახდელისკენ მწუხარე მიდიოდა:

„თამაშამდე ჩემთვის ძვირფასი ადამიანი, გამზრდელი ბიძია, ზურაბ ვახტანგიშვილი გარდაიცვალა. მსურდა, მისი ხსოვნისთვის კარგი თამაშით მიმეგო პატივი. დარწმუნებული ვარ, ბოლო წუთზე გოლის გატანა ამ გრძნობამ შემაძლებინა. სტიმული ისედაც მქონდა. ნაკრებში ვთამაშობდი, მაგრამ ამ ამბავმა ჩემზე მეტად იმოქმედა. „ბაიერთან“ თბილისურ შეხვედრასთან ერთად ეს თამაში წელს ჩემთვის საუკეთესოდ მიმაჩნია“.

სწორედ პოლონელებთან გატანილ გოლს თვლის ჯერჯერობით კარიერაში საუკეთესოდ: „მსგავსი სიხარული არასდროს განმიცდია. მართლაც ძლიერად ვითამაშეთ. ლოგიკურიც არის — ინგლისელებთან ბათუმში წაგების შემდეგ ნაკრები გაძლიერდა, მწვრთნელმა გუნდი შეკრა. დარწმუნებული ვარ, ახალ ციკლში ქვეჯგუფიდან გასვლასაც მოვახერხებთ“.

ჩემი მოსაუბრე ნაკრებსა და „დინამოში“ განსხვავებულ პოზიციებზე თამაშობდა — ნაკრებში წინა გამთამაშებლად, გუნდში კი თავდამსხმელად. თავად სად უჯობს? „ოღონდ მათამაშონ და სად და როგორ, ამის გადაწყვეტა მწვრთნელების საქმეა. არცერთ პოზიციაზე არ გამჭირვებია. ევროთასების პირველ ხუთ შეხვედრაში ხუთი გოლი ნებისმიერი თავდამსხმელისთვის კარგი შედეგია. ნაკრებში სხვა ვითარება იყო — გუცაევს თავდასხმაში დიდი არჩევანი ჰქონდა და ჩემთვის ჩვეულ ამპლუაში დამაყენა. როცა დასჭირდა, ყიფიანმა უკანაც დამხია“.

დათო პირველად 1993 წლის ზაფხულში ვნახე რუსთავში ნიკა ამირეჯიბის 16 წლამდელთა ნაკრებში. რაღა დავმალო, მაშინ მას ყურადღება მხოლოდ იმიტომ მივაქციე, რომ მითხრეს, ყოფილი დინამოელის, დავით მუჯირის ვაჟიაო. მაგრამ გავიდა დრო და მუმუ ისე ათამაშდა, ჩემებრ ბევრი შეაბრუნა თავისკენ. თავადაც აღიარებს, რომ მაშინ იგი არცთუ გამაოგნებლად თამაშობდა: „ბავშვობისას ფიზიკურად სუსტი ვიყავი. ჩემზე ორი-სამი წლით პატარებიც კი მასწრებდნენ კროსში. მას შემდეგ, დამიჯერე, შრომა არ დამზარებია და თუ რამეს მივაღწიე, ისევ მისი წყალობით, მაგრამ ფიზიკურად რომ კიდევ მოვღონიერდე, გაცილებით უკეთესი ფეხბურთელი ვიქნები. მიკვირს, სუსტი რატომ ვარ. ამას გენებს ვერ მივაწერ. მამაჩემი ფიზიკურად ძლიერი იყო. ტექნიკაში უფრო მოიკოჭლებდა. მე კი პირიქით ვარ. თუ რაიმე გამომდის, ისევ ტექნიკის ხარჯზე“.

ერთ საიდუმლოსაც გაგანდობთ ჩემი და ვოვა გუცაევის საუბრიდან. როცა მას ვკითხე, თავდაპირველ 3-5-2 განლაგება და ორი საყრდენი ნახევარმცველით თამაში რატომ უარყავი-მეთქი, მიპასუხა: ფეხბურთში ამინდს მოაზროვნეები ქმნიან. ორი მუშა საყრდენი ნახევარმცველი ნაკლებად მშრომელ, მაგრამ შემოქმედ გამთამაშებელზე მეტ სარგებელს ვერ მოიტანსო. მაგალითად, მუჯირი მოიყვანა, დათო ფიზიკურ სისუსტეს გონივრული თამაშით ფარავსო. ეს თავად დათოსაც კარგად ესმის: „მიკვირს ჩემნაირი ფიზიკური მომზადებით „დინამოში“ რომ ვთამაშობ. ტრაბახში არ ჩამომართვათ, ვიცი, აზროვნებით ნაკლს შეძლებისდაგვარად ვასწორებ“.

იდეალური მუჯირი? იქამდე შორია: „ორი წელი რომ არ გამეცდინა, ვინ იცის, იქნებ, დღეს უკეთესი ფეხბურთელიც ვყოფილიყავი. ვგრძნობ, შესაძლებლობების ნახევარსაც ვერ ვავლენ. ორი წლის წინ სამედიცინო შემოწმების შედეგების შემდეგ მწვრთნელები სხვებივით არ მავარჯიშებდნენ. გულის წნევა მაღალი მქონდა — 90-100. ვცდილობდი, მხოლოდ ისე დავტვირთულიყავი, რომ ვარჯიშს ზიანი არ მოეყენებინა. თუმცა, არ ვწუწუნებ, კანუს დღეშიც არ ვარ, ფეხბურთს რომ შევეშვა“.

რითი გამოირჩევა მუჯირი? — ეს კითხვა ვისაც არ უნდა დაუსვათ, დაუფიქრებლად იტყვის — ძლიერი ზუსტი დარტყმებითო. თურმე, დათო მუდმივად ამაზე მუშაობს: „ყველა მოთამაშე რალაცითაა გამორჩეული. მეც ვხედავ, რომ დარტყმები გამომდის და ვცდილობ, ამ მხრივ დავიხვეწო. ძალიან მიხარია, ჩემპიონთა თასზე ლევერკუზენს ჯარიმიდან ლამაზი გოლი რომ გავუტანე“.

ახლა „დინამოს“ თავკაცები ძლიერი გუნდის ჩამოყალიბებას ლამობენ. ამ გზაზე მათი ერთ-ერთი იმედი დათო მუჯირიც არის. მაგრამ მას ოპტიმიზმი არ ეტყობა: „მამაჩემისგან ვიცი, რომ 13 მაისის „დინამო“ ექვსი წელი ყალიბდებოდა. ჩვენგან კი, თუნდაც ორი-სამი წელი მოთამაშეები არ წავლენ? და თუ ეს მაინც მოხერხდა, სხვა საქმეა, მაგრამ ყველას ნორმალურ ჩემპიონატში და უფრო ძლიერ გუნდში გადასვლა გვსურს, საქართველოში ხომ დიდ ფეხბურთელად გაზრდაზე ფიქრი წარმოუდგენელია. ორლობის პირველობის მოთამაშეობა კი, არა მგონია, ვინმეს უნდოდეს. მე რომ აქ დავრჩე, ეროვნულ ნაკრებში ვერ მოვხვდები. აბა, ეს გამიხარდება? შესაძლოა, ნაკრების დონეზე წარმატებას მივაღწიოთ, მაგრამ „დინამოსგან“ 13 მაისის გამეორება მეტად საეჭვო მგონია“.

თავადაც უცხოეთში გადასვლა განუზრახავს და თავის შესაძლებლობების სჯერა კიდეც: „დარწმუნებული ვარ, საშუალო ევროპული დონის გუნდში დღესაც შევძლებ თამაშს, მაგრამ სხვა ოცნება მაქვს — ერთხელ მაინც გავხდე „რეალი“ — „ბარსელონას“ შეხვედრის მონაწილე, მნიშვნელობა არა აქვს, რომელ მხარეს ვითამაშებ, მთავარია, მოედანზე გავიდე“.

...პირველი წრის დასასრული გადაღლილ-გადაქანცულმა დინამოელებმა ყოჩაღად ველარ დაასრულეს, რამდენიმე დასანან ქულას თასზე „მორკინალთან“ და ჩემპიონატში „ბათუმთან“ წაგება დაემატა. მაგრამ მხოლოდ მოთამაშეთა დაღლილობა იყო ამის მიზეზი? რატომღაც მგონია, რომ დინამოელებს უცხოეთისკენ მზერა აქაურ თამაშებში მობილიზაციის უნარს უკარგავს. დათო ნაწილობრივ მეთანხმება: „რა თქმა უნდა, თითოეულ ჩვენგანს უცხოეთში წასვლა გვსურს და ასეთ დროს გვიჭირს ყველა თამაშისთვის კარგად მომზადება. ასე იქნება მანამ, სანამ გვეცოდინება, რომ ნახევარი ძალითაც კი მოვიგებთ თითქმის ყველა გუნდთან. ამის გამოა, ყველასთან ერთნაირი განწყობით რომ ვერ ვთამაშობთ. ამიტომაც დავკარგეთ ქულები. ერთადერთი გუნდი, რომელთანაც ვემზადებით და მაინც წავაგეთ, „ბათუმია“. მას ჭკვიანი მწვრთნელის ხელი აშკარად ემჩნევა. დამსახურებულადაც მოგვიგო. მაგრამ ხომ უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ „არარატთან“ შეხვედრის შემდეგ „ბათუმი“ მხოლოდ ჩემპიონატში თამაშობს, „დინამოს“ 17 მოთამაშე კი სხვადასხვა ასაკის ნაკრებში გამოდიოდა! თავს კი არ ვიმართლებ, მაგრამ მართლა ძალიან გადავიღალეთ. დარწმუნებული ვარ, აგვისტოში რომ გვეთამაშა, აუცილებლად გავიმარჯვებდით, რადგან დღეს „დინამო“ ყველაზე ძლიერი გუნდია“.

ახლა დათო ცდილობს სტრესებისგან განთავისუფლდეს. ამის საუკეთესო საშუალებად ცურვა და ბუნებაში დასვენება მიაჩნია. ერთი კვირა ბაკურიანს შეეხიზნება და ჯან-ღონით სავსე განაახლებს ვარჯიშს. თუმცა, უფეხბურთოდ მაინც არ ჩაივლის მუჯირისთვის საშობაო არდადეგები.

„შარშან აეტის ტურნირზე დიდი სიამოვნება მივიღე და ჭკუაში დამიჯდა შესვენებისას მინი-ფეხბურთის თამაში. 22 დეკემბერს „ბენდელას“ ტურნირი დაიწყება და კარგ გუნდს ვაყალიბებთ — მე, კალაძე, კობიაშვილი, ცქიტიშვილი, კერძევაძე და ზოიძე ერთად ვითამაშებთ“.

...მერე კი ისევ ისე იქნება გაუთავებელი, ზოგჯერ მეტად მოსაბეზრებელი ვარჯიშები. მაგრამ „რეალი“ — „ბარსელონას“ შეხვედრაში მონაწილეობაზე მეოცნებე მომაბეზრებელ ვარჯიშებსაც გაუძლებს. ოცნება რას არ შეგაძლებინებს...

**მერაბ მამულაშვილი**

# დაასახელეთ მწვრთნელები

ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომი ნოდარ ახალკაცის გარეშე რომ არ ჩატარდებოდა, თავიდანვე ცნობილი გახლდათ. ახალკაცის ბედი კი მთლიანად გერმანელი დასტაქრების ხელთ იყო. გასულ შაბათს ამათ შეკრება შეაწყვეტინა. ექსპერტებმა ჩვენი ფეხბურთის თავკაცის ჯანმრთელობა დამაკმაყოფილებლად მიაჩნია და ისიც ზეგ თბილისში გვეახლება. რახან ასეა, ფედერაციაც მთელი ძალით ამუშავდება. აღმასკომის სხდომაზე, სხვასთან ერთად, ორ უმთავრეს საკითხს განიხილავენ. პირველი ყრილობის თარიღის დადგენაა. ყრილობა, თუ ფედერაციიდან გამოსულ ხმებს ვერწმუნებით, ივნისის თვეში, მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე უნდა გაიმართოს. მეორე საკითხი კი ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მწვრთნელთა დამტკიცება იქნება.

ეროვნული გუნდის თავკაცმა დავით ყიფიანმა მწვრთნელობაზე უარი თქვა. მან ეს შემდგომში არაერთხელ გაიმეორა და როგორც ვიცით, აზრის შეცვლას არც აპირებს. აქედან გამომდინარე, ფედერაციისა და ნაწილობრივ გულშემატკივართა ფავორიტად ახალგაზრდული გუნდის თავკაცი ვლადიმერ გუცაევი რჩება. მას დაწინაურებაში გასულ ციკლში მიღწეული წარმატებაც უწყობს ხელს.

თუ გუცაევს ეროვნული გუნდის თავკაცობა ანდეს, რაზეც თავად ყაბულს გახლავთ, ახალგაზრდული გუნდის დამრიგებელიც ასარჩევი გაგვიხდება. ამბობენ, ფედერაციამ ამაზეც იზრუნა და ახალგაზრდული ნაკრების აღმზრდელად ვახტანგ კოპალეიშვილი შეიგულაო.

ფედერაციას საფიქრალი მაინც არ მოაკლდება. 18 დეკემბერს 16 და 18 წლამდე ნაკრებთა მსოფლიოს ჩემპიონატის წილისყრა ჩატარდება. შესაბამისად, თუ ვითარებას გავითვალისწინებთ, ამათი მწვრთნელებიც საძებნი არიან. მოკლედ, დეკემბერი სულ ცოტა ოთხ ახალ მწვრთნელს დაასახელებს. ისე, 25 დეკემბერს აღმასკომი 14 საათზე დაიწყება.

# კიდევ ერთი პოლონელი



ზაზა ლაცაბიძე

ზუგდიდის „ოდიშს“ წელს ახალი პატრონი გამოუჩნდა. ახალი ახალგაზრდული გუნდიც ჩამოაყალიბეს და თავიდანვე ლიდერებში გაერივნენ. ახლა „ოდიშმა“ მეორე წრეში ყველა თამაშიც რომ წააგოს, საფრთხე არსაიდან ემუქრება. კლუბის თავკაცმა ვახტანგ ნანავამ მთელი საქართველოდან მოწვეული ფეხბურთელები ჯერ ზუგდიდში ათამაშა, მერე კი თითო-ოროლად პოლონეთში წაიყვანა და იქაურ გუნდებში მოაწყო. ბუნებრივია, ფეხბურთელთა ტრანსფერიდან ორივე მხარე ხეირობს, საქმის გამჩარხავიც და მოთამაშეც. გუშინ კიდევ ერთ ყოფილ ოდიშელს შევხვდით. ზაზა ლაცაბიძე ფეხბურთში მისმა მოგვარე მწვრთნელმა, მეტსახელად „ჯაგად“ ცნობილმა მალხაზ ლაცაბიძემ გამოაწრთო, თავიდან „ივერიაში“ ათამაშა, მერე კი ზუგდიდში ჩაიყვანა. ზაზა „ოდიშში“ უფრო მობილურად ათამაშდა და ახალგაზრდული ნაკრების დამრიგებლის ვლადიმერ გუცაევის ყურადღებაც დაიმსახურა. რუსეთის ახალგაზრდული გუნდის წინააღმდეგაც ითამაშა. მერე კი ნანავამ პოლონეთში წაიყვანა და თვალხედვის არედან დაგვეკარგა...

— პოლონეთში ჩასული იქაური მეორე ლიგის კრაკოვის „ჰუტნიკში“ მოვხვდი განინჯვაზე. პირველივე ვარჯიშის შემდეგ გუნდში ამიყვანეს და სამწლიანი კონტრაქტიც გავაფორმე. ჩემთან ერთად „ჰუტნიკის“ ღირსებას ყოფილი მერანელი გელა გაბისონია და ოდიშელი ლევან თოლორდავა იცავენ. ჩვენს ჩასვლამდე „ჰუტნიკი“ მეოთხე ადგილზე იყო, დარჩენილი 6 მატჩიდან ექვსივე მოვიგეთ და ახლა მეორე ადგილზე მყოფს ხუთი ქულით ვუსწრებთ.

„ჰუტნიკი“ ფინანსურად ძლიერი გუნდია გახლავთ და ხელმძღვანელებს მხოლოდ უპირველესთა შორის მოხვედრა დააკმაყოფილებთ. ამისთვის არაფერს ზოგავენ. ახლა იქ შესვენებაა. 5 იანვარს კრაკოვში უნდა ვიყო, მერე გუნდი შეკრებაზე მიდის ჯერ ესპანეთში, მერე მალაიზიაში.

პირველივე თამაშში წითელი ბარათი მივიღე, ამიტომ შემდეგი ორის გამოტოვება მომიხდა, დარჩენილი სამი კი შეუცვლელად ვითამაშე. საყრდენ ნახევარმცველად ვარ გამწესებული და მეტოქის გამთამაშებლის განეიტრალება მევალება, თანაც შეტევაში ხშირი ჩართვებიც უნდა მოვახერხო. „ჰუტნიკი“ 3 მცველით, 5 ნახევარმცველით და 2 თავდამსხმელით თამაშობს. ძირითადი აქცენტი ფიზიკურ მომზადებაზე აქვთ გადატანილი. კიდევ კარგი, მოსამზადებელი პერიოდი ხურცილავას ხელში გავიარე, თორემ ძლიერ გამიჭირდებოდა. ახლა იოლად შევეგუე.

**— „ჰუტნიკის“ ქართული სამეულის გარდა პოლონეთში ჩვენებურები კიდევ ბლომად გადასახლდნენ. მათზე ახალს რას გვეტყოდი?**

— მიქაძე „პოგონში“ ირიცხება. თავიდან ტრავმებმა შეაწუხა, მაგრამ ახლა ფორმა აღიდგინა და კარგად გამოიყურება. ჭედია და გაბედავა „გროკლინში“ თამაშობენ. ორივე ძირითადის ფეხბურთელია. ის კი არა, გაბედავა გროკლინელი ფანების იმედად იქცა. მას ძლიერ აფასებენ. ბოლო თამაშები კი გაუცდა, ფეხი ასტკივდა. ბარქაია „ვისლაში“, ახლახან ასპინძელაშვილი და ქოიავა ჩამოვიდნენ და პირველი ლიგის ერთ-ერთ გუნდში ისინჯებოდნენ. მეტი მათზე არაფერი ვიცი. მოკლედ, პოლონეთში თავს მოწყენილად არ ვგრძნობ.

...კარგია, როცა ქართველი უცხოეთში სოლიდურად ირჯება, მაგრამ ჩვენებურთათვის პოლონეთი მაინც გვეცოტავება. გვსურს, ისინი უფრო ძლიერ საფეხბურთო ქვეყნებში ვიხილოთ. ალბათ, ასეც იქნება, ოღონდ ყველაფერს დრო სჭირდება. საკადრისად ხომ უნდა გაგვიცნოს საფეხბურთო ევროპამ.

**მამუკა ძვანტალიანი**


პირველად ქართულ ენაზე

ათასამდე სტატია, უნიკალური ინფორმაცია, ყოვლისმომცველი სტატისტიკა, შვიდასზე მეტი ფოტო და ემბლემა

ყველაფერი ერთ წიგნში




მიაკითხეთ წიგნის მაღაზიებს:

„მერანი“ (რუსთაველის 42),
„საუნჯე“ (რუსთაველის 28),
„აისი“ (მ. „მარჯანიშვილთან“).

დარეკეთ: 990822

# დახვრეტილი მეთოფეები

## ინგლისი

### XVIII ტური

### ბარნსლი 2:2 ნიუკასლი

**ბარნსლი:** ლისი, იდენი, ეპლიბი (ბალოკი 66), მოუზისი, ლიდელი (ჰენდრი 57), ბოზანჩიჩი (შერიდანი 52), კრიჟანი, ბერნარდი, უორდი, რედფერნი, ტინკლერი

**ნიუკასლი:** ჰისლოპი, ბეტი, პიკოკი, პირსი, უოტსონი, პისტონე, ალბერი, ბარნსი, გილესპი, ლი, ასპრილია (ტომასონი 66)

1:0 რედფერნი (9), 1:1, 1:2 გილესპი (44, 49), 2:2 ჰენდრი (75)

— მოიპოვო ქულა ისეთ ძლიერ გუნდთან, როგორიც „ნიუკასლია“, ერთობ კარგი საქმეა. მითუმეტეს, ჩვენს ბოლოდროინდელ შედეგებს თუ გავითვალისწინებთ, დღევანდელი ფრე ნამდვილად მიღწევაა. ახლა ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს გავიმარჯვეთ — დიდი იყო „ბარნსლის“ მწვრთნელის დენი უილსონის მატჩისშემდგომი სიხარული, მაგრამ, მართალი რომ ითქვას, სტუმრებს ნაღდად არ უთამაშიათ ისე, როგორც უილსონმა გააზვიადა.



REUTERS ლონდონიდან

ჩელსი — ლიდსი. ამჯერად კელი გააფრთხილეს, მალე გააძევებენ კიდეც

მთელ მატჩში მხოლოდ რამდენიმეწუთიანი მომენტებია აღსანიშნავი, რომლებმაც გადაწყვიტეს კიდეც შეხვედრის ბედი. მატჩის პირველ და ბოლო ათ წუთში „ბარნსლი“ უფრო აქტიურობდა, ტაიმების შესაყარზე კი აშკარად „ნიუკასლი“ მძლავრობდა. 110-წლიანი საკლუბო ისტორიის მანძილზე, პრემიერლიგაში პირველად მოასპარეზე „ბარნსლის“ საუკეთესო ფორვარდმა ნილ რედფერნმა დაამტკიცა, რომ მიუხედავად საკმაო ასაკისა, იგი მაინც რჩება გუნდის ლიდერად. თამამად შეიძლება ითქვას, რედფერნი ლამის ნახევარ გუნდს უდრის. ეს კი ლიტონი სიტყვები რომ არაა, შაბათსაც დამტკიცდა. მისი გოლი ლამაზი გამოდგა, უბრალოდ, იმას დავძენთ, რომ ჰენდრიმაც მისი ასისტენტობით გაათანაბრა. რაც შეეხება ნიუკასლელთა გოლებს, კიტ გილესპიმ სამიდან 2 მომენტი გოლად აქცია.

„ნიუკასლზე“ ვსაუბრობთ და ქეცბაიაზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა: ჩემპიონთა ლიგაში კიევის „დინამოსთან“ 2:0 მოგებულ მატჩში თემურმა ფაუსტინო ასპრილია შეცვალა. შაბათს, ყველა ანალოგიურ ცვლილებას ელოდა, მაგრამ კენი დალგლიშმა სხვანაირად განსაჯა.

ისე, მართალი რომ ვთქვათ, 29 ნოემბერს, „კრისტალ პალასთან“ სტუმრად 2:1 მოგებული მატჩის შემდეგ ქართველ ნახევარმცველს კარგად არც უთამაშია. შეიძლება სწორედ ამის გამოც იყო, დალგლიშმა საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელს დანიელი ტომასონი რომ ამჯობინა.

...ზეგ „ნიუკასლი“ „დერბის“ უმასპინძლებს, პირველი წრის უკანასკნელ, მეცხრამეტე ტურში კი „სენტ ჯეიმსიზ პარკს“ ალისფერი „მანჩესტერ იუნაიტედი“ ესტუმრება.

...შარშან შირერმა და კომპანიამ ოლდ ტრეფორდელები 5:0 გაანადგურა.

### არსენალი 1:3 ბლექბერნი

**არსენალი:** სიმენი, დიქსონი, უინთერბერნი, ადამსი, კეონი, პეტი, პარლოუ (ვიეირა 65), პლატი (მოა მორტე 76), ოვერმარსი, რაიტი, ბერხკამპი

**ბლექბერნი:** ფლაუერსი, კენა, შერვუდი, ჰენდრი, რიპლი (ფლიტკროფტი 68), უილკოქსი, მაკინლი, ენჩოსი, კროფტი, სატონი, გალაჰერი

1:0 ოვერმარსი (18), 1:1 უილკოქსი (57), 1:2 გალაჰერი (65), 1:3 შერვუდი (89)

მეთექვსმეტე ტურში „მანჩესტერ იუნაიტედმა“ „ბლექბერნი“ შინ საშინლად გაანადგურა და თითქოს როი ჰოჯსონის აღორძინებული გუნდის იმედებს წერტილი დაესვა, მაგრამ „ბლექბერნმა“ კვლავ დაამტკიცა, რომ ამ სეზონშივე იგი ნამდვილად კარგი გუნდია და ჩემპიონობისთვის ბრძოლა ძალუძს.

1945 წლის შემდეგ „ბლექბერნს“ „არსენალი“ სტუმრად მხოლოდ ერთხელ დაემარცხებინა.

მაინც რამ გამოიწვია „არსენალის“ საშინაო მარცხი? ალბათ, გუნდის უჯიგრო და განსაკუთრებით დაცვის შეუთანხმებელმა თამაშმა. განსაკუთრებით არასაიმედოდ პეტიმ ითამაშა. წაგების მიზეზი იან რაიტის თავშეუკავებლობა და უხეშობაც იყო. „არსენალის“ ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი უზრდელობისთვის და არასპორტული საქციელისთვის ადრეც დაუსჯიათ, მაგრამ ზანგმა ვერ იქნა და ვერ ისწავლა ჭკუა. არბიტრმა იგი სეზონში მეხუთედ გააფრთხილა, რაც იმას ნიშნავს, რომ რაიტი ორ შეხვედრას ველარ ითამაშებს — 28 დეკემბერს, ჩემპიონატში „ტოტენჰემთან“ და ერთი კვირის შემდეგ ლიგის თასზე „პორტ ველთან“. ეტყობა, რაიტმა ნერვები ვერ დაიოკა და მატჩის შემდგომ გაბრაზებულ გულშემატკივრებს ერთი-ორჯერ ლაზათიანად შეუკურთხა, რის გამოც ახლა მას ინგლისის ფეხბურთის ასოციაციისგან მორიგი, უკვე ვინ მოთვლის მერამდენე, სასჯელი ელის.

ლონდონელებმა 1:3 კი წააგეს, მაგრამ ბოლო ხუთ წუთში სიმენის კართან იმდენი სახიფათო მომენტი შეიქმნა, ბლექბერნელებს კიდევ ორი-სამი ბურთი რომ შეეგდოთ, მათზე ალალი იქნებოდა. 86-ე წუთზე გალაჰერის თავური ვიეირამ კარიდან გამოიტანა, უილკოქსის დამატებული შემთხვევით სიმენს მოხვდა, შემდეგ თავად ინგლისის ნაკრების კარის დარაჯმა აულო ჰენდრის, ორ წუთში შერვუდის დარტყმულთან სიმენი ვერაფერს გახდა — 1:3. დარჩენილ და მსაჯის მიერ წამატებულ ორ წუთში კი ჯერ დიქსონმა გააუვნებელყო შერვუდის თაური, მერე კვლავ სიმენს მოხვდა სატონის დარტყმული, სულ ბოლოს კი გალაჰერმა ააცილა ორ მეტრიდან.

მოკლედ, „ბლექბერნმა“ „არსენალი“ გააცამტვერა. განაცხადა კიდეც მასპინძელთა ფრანგმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა, რაც „არსენალს“ ვხელმძღვანელობ, მეორე ტაიმზე საშინლად აქამდე არ გვითამაშიაო.

### ჩელსი 0:0 ლიდსი

**ჩელსი:** დე გუა, პეტრესკუ (კრიტენდენი 86), ლებეფი, დაბერი, ლე სო, სინკლერი, ნიკოლსი (ვიალი 57), უაიზი, დი მატეო, ფლო, ძოლა

**ლიდსი:** მარტინი, კელი, რობერტსონი, ჰაალანდი, რადებე, უეზეროლი, უოლესი, ჰალე, ჰოფკინი, ჯიმი (ლილი 46), რიბეირო

საოცარია, როგორ მოახერხა „ჩელსიმ“ ცხრა ფეხბურთელით დარჩენილი „ლიდსი“ რომ ვერ დაამარცხა. მეტოქეს მთელი მეორე ტაიმი ორი მოთამაშე აკლდა, მაგრამ იმდენად დიდი იყო მათი სულისკვეთება, რომ ლონდონელებმა მარტინის კარი ვერ იქნა და ვერ შეაღეს.

შეხვედრა თავიდანვე დაძაბულად წარიმართა და ასევე დასრულდა. ბურთი ერთი წუთითაც არ გაჩერებულა — ფეხბურთელები გამარჯვებისთვის იბრძოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ „ლიდსს“ ნელ-ნელა აკლდებოდა ხალხი, სტუმრებს სრულიადაც არ განუზრახავთ ყრუ დაცვითი თამაში.

ლიდსელთა შემცირება 24-ე წუთიდან დაიწყო, როცა არბიტრმა ნორვეგიელ ალფ ინგე ჰაალანდს დროზე ადრე დაასრულებინა მატჩი. რაც შეეხება მეორე გაძევებულს, გრემ კელის, მას ცხვირწინ წითელი ბარათი ზედ შესვენების წინ აუფრიალეს.

ობიექტურნი რომ ვიყოთ, მსაჯს კიდევ ერთი ლიდსელი, ლუკას რადებე უნდა გაეძევებინა, მაგრამ მცველი ძოლასთან უხეშობის შემდეგ მსაჯმა აშკარად დაინდო.

...ერთი კვირის წინ შოტლანდიური ფეხბურთის ლეგენდა, „ლიდს იუნაიტედის“ 60-70-იანი წლების უძლიერესი ფეხბურთელი ბილი ბრემნერი გარდაიცვალა. „სტემფორდ ბრიჯზე“ შაბათს გამართული ეს შეხვედრა გარდაცვლილის წუთიერი პატივისცემით დაიწყო.

### ქოვენთრი 4:0 ტოტენჰემი

**ქოვენთრი:** ჰედმანი, შოუ, ბრინი, ბაროუსი, ვილანი (ონილი 87), მაკალისტერი (სოლტვედტი 35), ჰოლი, ნილსონი, ტელფერი, ჰაკერბი, დაბლინი

**ტოტენჰემი:** უოკერი, კალდერვუდი, მებათი, ფოქსი, ნილსენი, კარი, უილსონი (ედინბურგი 70), ანდერტონი (ივერსენი 51), ჟინოლა, ფერდინანდი, სანტონი (კლემენსი 70)

1:0 ჰაკერბი (42), 2:0 ბრინი (63), 3:0 ჰაკერბი (84), 4:0 ჰოლი (87)

„ტოტენჰემს“ საშინელი კრიზისი უდგას, ენით აუწერელი კრიზისი. ლონდონელებს ვერც მწვრთნელის გამოცვლამ უშველა და ვერც ვერაფერმა. თუ ასე გააგრძელეს თამაში, ერთი გავარდნილის ვინაობა უკვე ცნობილია და ეგაა...

გუნდს აშკარად დიდი პოტენციის მქონე ფეხბურთელები ჰყავს. მაშ, რაშია საქმე? მწვრთნელში? — კლუბმა ხომ რამდენიმე კვირაა, რაც თავკაცი გამოიცვალა, მაგრამ ჯერი ფრენსისის მემკვიდრემ, შვეიცარიელმა კრისტიან გროსმა, რომელიც დისციპლინის სიყვარულითაა ცნობილი, ჯერჯერობით ვერაფერი გააწყო.

ამ შეხვედრაზე ის შეიძლება ითქვას, რომ პირველ ნახევარ საათში ზედ კარის ხაზამდე მისული, მაგრამ გოლად არქცეული ბურთების ხილვამ „ტოტენჰემი“, განსაკუთრებით კი ლეს ფერდინანდი და დეივიდ ჟინოლა მოთმინებიდან გამოიყვანა, ნერვებაშლილი კაცი კი ბევრს რომ ვერაფერს მიაღწევს, ცნობილია.

ისე, მასპინძელთა მეორე გოლი, რომელიც გარი ბრინმა თაურით შააგდო, მის „ქოვენთრულ“ კარიერაში პირველი გამოდგა. რაც შეეხება დებიუტანტ მაგნუს ჰედმანს, აშკარაა, რომ შვედმა მეკარემ კლუბს იმედები გაუმართლა და, არაა გამორიცხული, ლამის მუმიად ქცეული სტივ ოგრიზოვიჩის გუნდიდან წასვლის საკითხიც დადგეს.

### კრ. პალასი 0:3 ლივერპული

**კრ. პალასი:** მილერი, ედვორთი, გორდონი, რობერტსი, ლინიგენი, უორჰერსტი, შიპერლი, პრიდარსონი, ფალერტონი, ლომბარდო (ჯინტი 49), პადოვანო (ემბლინი 34)

**ლივერპული:** ჯეიმსი, კვარმე, მაკატირი, ლეონარდსენი (ბიორნებიუ 89), რედნაპი, პარკნესი (ბერგერი 89), მატეო, კარაგერი, ოუენი, მაკმანამანი, ფაულერი

0:1 მაკმანამანი (39), 0:2 ოუენი (56), 0:3 ლეონარდსენი (61)

გუნდს ასე ეზიზღებოდეს შინ თამაში, ალბათ იშვიათია — „კრისტალ პალასმა“ ამ სეზონში შინ ნათამაშევი რვა მატჩიდან ხუთი წააგო და სამიც ფრედ დაამთავრა. მოგება კი მათთვის ჯერაც უცხო ხილია.

სხვათა შორის, შაბათს ლივერპულელთა თავდამსხმელის, მაიკლ ოუენის დაბადების დღე იყო. იგი 18 წლის გახდა, და ეს გოლითა და საგოლე პასით აღნიშნა. მისმა მწვრთნელმა, როი ევანსმა განაცხადა, მაიკლი ნიჭიერი ბიჭია, შრომისმოყვარე და ასე თუ გააგრძელა, მალე ქვეყნის პირველ გუნდშიც ითამაშებსო. გახდება თუ არა ოუენი ინგლისის ნაკრების ფეხბურთელი, ეს არავინ იცის, მაგრამ მისი თამაშის შემხედვარე, ამის წარმოდგენა ძნელი სულაც არ არის.

მასპინძელთა რიგებში მხარდამხარ პირველად თამაშობდნენ ტურინის „იუვენტუსის“ ყოფილი მოთამაშეები — ატილიო ლომბარდო და მიკელე პადოვანო. დამარცხებულთა თავკაცს, სტივ კოპელს მათი გარჯა არ მოეწონა და ორივე შეცვალა. ამით რაც მოიგო, თავად ხედავთ.

### ვესტ ჰემი 1:0 შეფილდი

**ვესტ ჰემი:** ფორესტი, ანსუორსი, პირსი, ფერდინანდი, იმპი (ბრეიკერი 77), როულენდი, ლომასი, ლემპარდი, ბერკოვიჩი, კიტსონი (აბუ 82), ჰარტსონი

**შეფილდი:** პრესმენი, ნოლანი, ნიუსომი, უოლკერი, უითინგემი (კარბონე 69), ბუთი (მაჰრეისი 65), ჰაიდი (ჰემბრიჯი 57), რუდი, სტეფანოვიჩი, კოლინზი, დი კანიო

1:0 კიტსონი (68)

გახსოვთ, რა ცუდად დაიწყო „შეფილდმა“ ჩემპიონატი? გუნდი ზედიზედ მარცხდებოდა საშინელი ანგარიშებით, შემდეგ კი ნელ-ნელა ცხრილის ბოლოში ჩაძირულმა შუაშიც გადაინაცვლა. აღმასვლა გამარჯვებების გარეშე არ იქნებოდა, გამარჯვებები კი რონ ატკინსონმა მოიტანა. სხვათა შორის, რაც იგია „შეფილდის“ მწვრთნელი, „ბუებმა“ პირველად წააგეს.

### ევერტონი 0:0 უიმბლდონი

**ევერტონი:** მერი, შორტი, უოტსონი, ტილერი, უორდი (ბარეტი 61), უილიამსონი (ოსტერი 55), სპიდი, ფარელი, ჰინჩლიფი, კადამარტერი, ბარმბი

**უიმბლდონი:** სალივანი, კანინგემი, კიმბლი, ბლეკველი, ტეტჩერი, ერლი, სოლბაკენი, გეილი (ჯოუნსი 87), ჰიუზი, ერდლი, კორტი (კლარკი 63)

რაც საუთჰოლი მერიმ შეცვალა, „ევერტონს“ უკვე ორი მატჩია, გოლი არ გაუშვია, თანაც გუნდს ნელ-ნელა გუნდობა დაეტყო. ადრე კი ლივერპულის ცისფერი კლუბი უფრო ბანდას ჰგავდა. დასანანია, მასპინძლებმა ლიდერწაგერილი „უიმბლდონის“ დამარცხება რომ ვერ შეძლეს, მაგრამ ეს ფრეც იქნებ წარმატებების სათავე გახდეს.

### საუთჰემპტონი 2:1 ლესტერი

**საუთჰემპტონი:** ჯოუნსი, დოდი, ბენალი, პალმერი, მონკუ, ლუნდეკვამი, ოუკლი (უილიამსი 70), ჰერსტი, დევისი, რიჩარდსონი (ჰიუზი 80), ლე ტისიე (ოსტენსტადი 80)

**ლესტერი:** კელერი, სევიჯი, პრიორი (კლერიჯი 80), კამარკი, ჯაპი, ლენონი, იზეტი, ჰესკი, ფენტონი (უილსონი 62), ელიოტი, უოლში

1:0 ლე ტისიე (2), 2:0 ბენალი (54), 2:1 სევიჯი (84)

ფრენსის ბენალი „საუთჰემპტონის“ ვეტერანია — 11 წელია გუნდშია და ამ ხნის მანძილზე ნათამაშევი 287 შეხვედრაში ერთი გოლიც არ გაუტანია. შაბათს მისი გვარიც აინთო სტადიონის ტაბლოზე. „ეს დაუვიწყარი დღეა. ყოველთვის ვოცნებობდი, გოლი გამეტანა, მაგრამ არ გამოდიოდა. მართალი გითხრათ, ნელ-ნელა იმედსაც ვკარგავდი, გული მწყდებოდა, კარიერას უგოლოდ დავასრულებ-მეთქი, ძალიან მიხარია, რომ გავიტანე. იცით, საოცარი გრძნობაა, როცა 11 წლის მანძილზე პირველ ბურთს გაიტან“ — განაცხადა ბენალიმ. მეტიუ ლე ტისიეც „საუთჰემპტონის“ ვეტერანია. მასაც კარგა ხანია, არ გაუტანია, მაგრამ მოახერხა და დანავსულთ სერია შეწყვიტა. ბენალისგან ლე ტისიეს ის განასხვავებს, რომ იგი თავდამსხმელია.

### ბოლტონი 3:3 დერბი

**ბოლტონი:** უორდი, ფრანდსენი, პოლოკი, სელარსი (იოჰანსენი 88), ტომასონი, ბერგსონი, ბერდსლი (გუნლაუგსონი 88), ტოდი, ფეირკლაფი, ფილიპსი, ბლეიკი

**დერბი:** პოომი, როუეტი, კ. პაუელი, შტიმაცი, სტარიჯი, კერსლი, ერანიო, დეილი, კოზლაკი (დ. პაუელი 81), ბაიანო, ვენჩოპი (ბარტონი 81)

1:0 ტომასონი (503), 1:1 ერანიო (55), 1:2, 1:3 ბაიანო (64, 63), 2:3 ბლეიკი (73), 3:3 პოლოკი (77)

აქამდე „ბოლტონის“ სტადიონზე მასპინძლებს ორ გოლზე მეტი არ გაუტანიათ, მაგრამ კვირას გამართულ შეხვედრაში ფეხბურთელებმა გაილაღეს და ერთბაშად სამი შეაგდეს. სხვათა შორის, სტუმართა ნახევარმცველმა ალიოშა ასანოვიჩმა განაცხადა, თუ არ მათამაშეს, ავდგები და „სელტიკში“ გადავალო.

**ლაშა გოდუაძე**

## პირველი დივიზიონი

### ბირმინგემი 2:1 სიტი

**სიტი:** მარგეტსონი, ედჯილი, შელია, ბრაუნი (ბრაითველი 80), საიმონსი, ვიკენსი, ბრენენი, რასელი, დიკოვი, ვან ბლერკი, როსლერი

0:1 შელია (88), 1:1 ფორსტერი (90), 2:1 ოკონორი (92)

გუნდიც ამას ქვია — თამაშის დასასრულამდე ორი წუთით ადრე ლიდერობას იგდებს ხელთ, საბოლოოდ კი მარცხდება. არა, „სიტის“ მომავალი არ აქვს!

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიდლსბრო | 22 | 13 | 6 | 3 | 39:17 | 45 |
| ნოტინგემი | 22 | 12 | 6 | 4 | 35:20 | 42 |
| შეფილდი | 22 | 11 | 8 | 3 | 33:21 | 41 |
| ვესტ ბრომვიჩი | 22 | 12 | 4 | 6 | 25:19 | 40 |
| ჩარლტონი | 22 | 11 | 5 | 6 | 41:29 | 38 |
| სვინდონი | 22 | 11 | 4 | 7 | 31:30 | 37 |
| სანდერლენდი | 21 | 10 | 6 | 5 | 32:21 | 36 |
| სტოკპორტი | 22 | 10 | 5 | 7 | 38:30 | 35 |
| ვულვერჰემპტ. | 22 | 10 | 5 | 7 | 29:26 | 35 |
| ბრედფორდი | 22 | 8 | 9 | 5 | 22:21 | 33 |
| ბირმინგემი | 22 | 8 | 7 | 7 | 23:18 | 31 |
| ნორვიჩი | 22 | 8 | 5 | 9 | 23:32 | 29 |
| ქუინზ პარკი | 22 | 7 | 6 | 9 | 27:36 | 27 |
| პორტ ველი | 22 | 7 | 5 | 10 | 25:27 | 26 |
| სტოკ სიტი | 22 | 7 | 5 | 10 | 24:30 | 26 |
| იფსვიჩი | 21 | 5 | 9 | 7 | 24:24 | 24 |
| რედინგი | 22 | 6 | 6 | 10 | 21:35 | 24 |
| ოქსფორდი | 22 | 6 | 5 | 11 | 27:33 | 23 |
| ტრანმერი | 21 | 6 | 4 | 11 | 28:32 | 22 |
| სიტი | 22 | 5 | 6 | 11 | 24:27 | 21 |
| ქრიუ | 22 | 6 | 3 | 13 | 26:36 | 21 |
| ბერი | 22 | 4 | 9 | 9 | 21:31 | 21 |
| პორტსმუთი | 21 | 5 | 5 | 11 | 26:34 | 20 |
| ჰადერსფილდი | 22 | 5 | 5 | 12 | 22:37 | 20 |

## საბერძნეთი

მე-14 ტური. პანახაიკი — პაოკი 1:4; ოლიმპიაკოსი — პანიონიოსი 2:0; ეთნიკოსი — ოფი 0:1; აპოლონი — პროდეფტიკი 1:0; ვერია — ქსანთი 2:1; კავალა — პანილიაკოსი 1:1; ირაკლისი — პანათინაიკოსი 0:1, ათინაიკოსი — აეკი და იონიკოსი — კალამატა წუხელ გვიან გაიმართა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 14 | 11 | 1 | 2 | 34:12 | 34 |
| აეკი | 13 | 11 | 1 | 1 | 29:13 | 34 |
| პანათინაიკოსი | 14 | 11 | 0 | 3 | 32:10 | 33 |
| იონიკოსი | 13 | 10 | 0 | 3 | 26:10 | 30 |
| პაოკი | 14 | 8 | 4 | 2 | 28:15 | 28 |
| ირაკლისი | 14 | 7 | 2 | 5 | 18:17 | 23 |
| ოფი | 14 | 7 | 2 | 5 | 22:25 | 23 |
| აპოლონი | 14 | 6 | 2 | 6 | 16:14 | 20 |
| ქსანთი | 14 | 6 | 2 | 6 | 27:27 | 20 |
| პანილიაკოსი | 14 | 5 | 2 | 7 | 22:26 | 17 |
| პანიონიოსი | 14 | 5 | 1 | 8 | 16:20 | 16 |
| პანახაიკი | 14 | 5 | 1 | 8 | 14:26 | 16 |
| ვერია | 14 | 4 | 1 | 9 | 16:23 | 13 |
| ეთნიკოსი | 14 | 4 | 1 | 9 | 7:16 | 13 |
| პროდეფტიკი | 14 | 3 | 3 | 8 | 12:27 | 12 |
| კავალა | 14 | 2 | 3 | 9 | 20:30 | 9 |
| ათინაიკოსი | 13 | 2 | 2 | 9 | 8:22 | 8 |
| კალამატა | 13 | 2 | 2 | 9 | 7:21 | 8 |

## თურქეთი

მე-16 ტური. ვანსფორი — გენჩლერბირლიგი 0:0; ქარაბუქი — ალთაი 1:1; ქოჯაელი — გაზიანთეფი 1:1; დარდანელი — ქაისერი 3:0; ანკარაგიუჯუ — ტრაბზონი 1:3; ისტანბული — გალათასარაი 2:1; ფენერბაჰჩე — შექერსფორი 7:0; ანთალია — ბეშიქთაში 3:3; ბურსა — სამსუნი 2:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე | 16 | 12 | 3 | 1 | 33:9 | 39 |
| ტრაბზონი | 16 | 10 | 3 | 3 | 31:17 | 33 |
| ბეშიქთაში | 16 | 8 | 6 | 2 | 33:16 | 30 |
| გალათასარაი | 16 | 9 | 3 | 4 | 35:22 | 30 |
| ისტანბული | 16 | 8 | 5 | 3 | 33:19 | 29 |
| ბურსა | 16 | 8 | 4 | 4 | 25:20 | 28 |
| სამსუნი | 16 | 7 | 3 | 6 | 23:20 | 24 |
| ქარაბუქი | 16 | 7 | 3 | 6 | 18:21 | 24 |
| ქოჯაელი | 16 | 6 | 4 | 6 | 21:18 | 22 |
| დარდანელი | 16 | 5 | 6 | 5 | 18:15 | 21 |
| ანკარაგიუჯუ | 16 | 5 | 5 | 6 | 15:18 | 20 |
| ქაისერი | 16 | 5 | 3 | 8 | 15:23 | 18 |
| გაზიანთეფი | 16 | 4 | 4 | 8 | 19:24 | 16 |
| გენჩლერბირ. | 16 | 3 | 6 | 7 | 12:16 | 15 |
| შექერსფორი | 16 | 3 | 5 | 8 | 16:36 | 14 |
| ალთაი | 16 | 3 | 4 | 9 | 15:30 | 13 |
| ანთალია | 15 | 2 | 5 | 8 | 19:31 | 11 |
| ვანსფორი | 15 | 0 | 4 | 11 | 13:39 | 4 |

## ესპანეთი

### მეორე დივიზიონი

მე-18 ტური. ხაენი — ნუმანსია 1:0; სერესი — ორენსე 0:1; ელჩე — ლეიდა 0:0; ესტრემადურა — ლას პალმასი 1:1; ბადახოსი — ეიბარი 1:0; ლოგრონიესი — ალბასეტე 1:2; სევილია — ტოლედო 2:0; ატლეტიკო B — ვილიარეალი 1:1; ლევანტე — რაიო ვალეკანო 0:1; ალავესი — ერკულესი 1:2; ლევანტე — ოსასუნა 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაიო | 18 | 9 | 6 | 3 | 29:16 | 33 |
| ალავესი | 18 | 10 | 3 | 5 | 22:12 | 33 |
| ესტრემადურა | 18 | 8 | 7 | 3 | 20:13 | 31 |
| ლეიდა | 18 | 8 | 6 | 4 | 24:20 | 30 |
| ლას პალმასი | 18 | 6 | 10 | 2 | 33:23 | 28 |
| ატლეტიკო | 18 | 7 | 7 | 4 | 25:19 | 28 |
| ორენსე | 18 | 7 | 7 | 4 | 19:13 | 28 |
| ერკულესი | 18 | 8 | 4 | 6 | 24:22 | 28 |
| ეიბარი | 18 | 7 | 6 | 5 | 20:12 | 27 |
| სევილია | 18 | 7 | 5 | 6 | 23:19 | 26 |
| ოსასუნა | 17 | 7 | 4 | 6 | 17:13 | 25 |
| ალბასეტე | 18 | 6 | 7 | 5 | 23:22 | 25 |
| ვილიარეალი | 18 | 5 | 10 | 3 | 15:16 | 25 |
| ლეგანესი | 18 | 6 | 7 | 5 | 14:18 | 25 |
| ბადახოსი | 17 | 3 | 10 | 4 | 15:14 | 19 |
| ტოლედო | 18 | 3 | 9 | 6 | 17:24 | 18 |
| ნუმანსია | 18 | 4 | 6 | 8 | 12:25 | 18 |
| ელჩე | 18 | 4 | 5 | 9 | 22:29 | 17 |
| ხერესი | 18 | 3 | 6 | 9 | 9:17 | 15 |
| ლოგრონიესი | 18 | 2 | 8 | 8 | 12:21 | 14 |
| ხაენი | 18 | 2 | 8 | 8 | 14:25 | 14 |
| ლევანტე | 18 | 2 | 5 | 11 | 13:29 | 11 |

## გერმანია

### მეორე ბუნდესლიგა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფრაიბურგი | 17 | 11 | 2 | 4 | 34:20 | 35 |
| აინტრახტი | 17 | 8 | 6 | 3 | 25:17 | 30 |
| გიუტერსლო | 17 | 7 | 9 | 1 | 20:12 | 30 |
| ურდინგენი | 17 | 8 | 5 | 4 | 19:12 | 29 |
| ნიურნბერგი | 17 | 9 | 2 | 6 | 23:19 | 29 |
| ფიურტი | 17 | 7 | 4 | 6 | 17:18 | 25 |
| კოტბუსი | 17 | 5 | 8 | 4 | 20:16 | 23 |
| უნტერჰახინგი | 16 | 5 | 7 | 4 | 20:13 | 22 |
| მაინცი | 17 | 5 | 7 | 5 | 30:28 | 22 |
| დიუსელდორფი | 17 | 5 | 6 | 6 | 29:27 | 21 |
| ზანქტ პაული | 16 | 5 | 6 | 5 | 19:20 | 21 |
| კიკერსი | 17 | 5 | 4 | 8 | 23:28 | 19 |
| ვატენშაიდი | 17 | 4 | 6 | 7 | 18:21 | 18 |
| ფორტუნა | 16 | 4 | 6 | 6 | 20:25 | 18 |
| ლაიფციგი | 17 | 5 | 3 | 9 | 17:32 | 18 |
| კარლ ცაისი | 16 | 4 | 4 | 8 | 18:26 | 16 |
| მეპენი | 17 | 3 | 6 | 8 | 20:27 | 15 |
| ცვიკაუ | 17 | 3 | 5 | 9 | 13:24 | 14 |

## იტალია

### XII ტური

#### ბოლონია 2:0 ლეჩე

ბოლონია: სტერკელე, პაგანინი, ტორიზი, ტარანტინო, ნერვო (დალინა 86), მაგონი, კრისტალინი, მაროკი, რ. ბაჯო (მანგონე 72), კ. ანდერსონი, კოლივანოვი
ლეჩე: ლორიერი, საკიჩი, კიპრიენი, ბარონკელი, როსინი, მ. როსი (კონტიკიო 72), მარტინესი, პიანგარელი, კასალე (იანუცი 72), პალმიერი, ატიელკინი (დიკიო 81)
1:0 კრისტალინი (21), 2:0 კოლივანოვი (88)
გაფრთხილება: კოლივანოვი, ბარონკელი, პიანგარელი

#### პიაჩენცა 1:1 იუვენტუსი

პიაჩენცა: სერენი, დელი კარი, ვერხოვოდი, მ. როსი (პოლონია 69), საკეტი, პიოვანი, ბორდინი, მაცოლა, შიენძა, დიონიჯი (მურჯიტა 60), სტროპა (ბუზო 89)
იუვენტუსი: პერუცი, ტორიჩელი, ფერარა, იულიანო, დიმაში, ა. კონტე (ტაკინარდი 83), ზიდანი, პეკია (დი ლივიო 59), დევიდსი (ფონსეკა 73), ინძაგი, დელ პიერო
0:1 ფონსეკა (77), 1:1 პიოვანი (79)
გაფრთხილება: სერენი, ვერხოვოდი, ბორდინი, ბუზო, იულიანო, დიმაში

#### ნაპოლი 0:4 პარმა

ნაპოლი: ტალიალატელა, ძამბონი, ბალდინი, აიალა, ფაჩი (სერჯო 69, კიმადომო 82), როსიტო (პანარელი 62), ალტომარე, ტურინი, პროტი, ბელუჩი
პარმა: ბუფონი, მუსი, ტურამი, კანავარო (კრიპა 78), აპოლონი, სტანიჩი, დ. ბაჯო, ჯუნტი (ფიორე 63), ბლომკვისტი, კიეზა (მანიერო 77), კრესპო
0:1 ბლომკვისტი (18), 0:2 დ. ბაჯო (53), 0:3, 0:4 კრესპო (66, 73)
გაფრთხილება: დ. ბაჯო, ჯუნტი
გაძევება: ლონგო (22)

# შეკრთომა დაუშვებელია

#### ბარი 0:0 უდინეზე

ბარი: მანჩინი, გარსია, ნექროიზი, დე როსა, სალა, ოლივერასი (დოლი 70), ვოლპი, ინგესონი, მანიგეტი (ბრეშანი 79), ბლბაკი (ზამბროტა 62), გუერერო
უდინეზე: ტურჩი, ბერტოტო, კალორი, პიერინი, ჰელვეგი, ჯანიკედა, ვალემი (სტატუტო 74), ბაკინი, პოჯი (ლოკატელი 64), ბირჰოფი, ამოროზო (ემამი 82)
გაფრთხილება: ნექროიზი, მანიგეტი

#### ემპოლი 4:1 სამპდორია

ემპოლი: როკატი, ბინო, დ. ბალდინი, ბიანკონი, ტონეტო, ამეტრანო, პანე (მუსი 87), ფიკინი, მარტუშელო (ბიზოლი 71), კ. ესპოზიტო, ფლორიანჩიჩი (მარტინო 80)
სამპდორია: ფერონი, ბალერი, ფრანჩესკეტი, კასტელინი, ჰუგო, პეზარეზი, ვერონი, მიხაილოვიჩი (დიენგი 57), ბოლოსიანი, სინიორი (სკარკილი 70), მონტელა
0:1 ფრანჩესკეტი (10), 1:1 ტონეტო (26), 2:1, 3:1 მარტუშელო (40, 54), 4:1 კ. ესპოზიტო (65)
გაფრთხილება: დ. ბალდინი, ამეტრანო, მიხაილოვიჩი, მონტელა
გაძევება: კასტელინი (29)

#### ინტერი 3:0 რომა

ინტერი: პალიუკა, სარტორი (კოე 74), ბერგომი, გალანტე (ზე ელიასი 53), კოლონეზე, მორიერო, ვინტერი, სიმეონე, ძანეტი, ჯორკაეფი, ბრანკა (სამორანო 67)
რომა: კონსელი, პივატო, სერვიდეი (დალ მორო 58), პეტრუცი, კანდელა, ტომაზი, პელგუერა, დი ფრანჩესკო (ვაგნერი 69), პაულო სერჯიო (დელ ვეკიო 67), ბალბო, ტოტი
1:0 ჯორკაეფი (41 პ), 2:0 ბრანკა (49), 3:0 პეტრუცი (71 ს.კ.)
გაფრთხილება: მორიერო, სიმეონე, კონსელი, სერვიდეი, პეტრუცი
გაძევება: პივატო (51), ტოტი (58)

#### ლაციო 1:0 ბრეშია

ლაციო: მარკეჯანი, პანკარო, ნესტა, ნეგრო, ფავალი, ფუზერი, ალმეიდა, მარკოლინი, მანჩინი, კაზირაგი (ვენტურინი 67), ბოკშიჩი (რამბაუდი 74)
ბრეშია: ჩერეონე, ე. ფილიპინი, სავინო, ბია, ადანი, კოზმინსკი (კრინიტი 75), ა. ფილიპინი, დე პაოლა, ბანინი (ბაროლო 60), ნერი (პირლო 59), ჰუბნერი
1:0 ბოკშიჩი (23)
გაფრთხილება: ნეგრო, ფუზერი, კაზირაგი, ბია, დე პაოლა, პირლო

#### ატალანტა 1:2 მილანი

ატალანტა: პინატო, მირკოვიჩი, ბოსელი, კარერა, ბონაჩინა, ძენონი, დუნდიერსკი, სგრო, კარბონე (ძანონი 66), კაჩა, ლუკარელი (მაგალანესი 66)
მილანი: ტაიბი, კარდონე, კოსტაკურტა, დესაი, მალდინი, ბა, ალბერტინი, ბობანი, ციგე (მაინი 28), ა. ანდერსონი (სავიჩევიჩი 59), კლუივერტი
0:1 ლუკარელი (1 ს.კ.), 1:1 სგრო (16), 1:2 კლუივერტი (57)
გაფრთხილება: მირკოვიჩი, ბონაჩინა, ლუკარელი, ძანინი, ბა, ბობანი

#### ვიჩენცა 1:5 ფიორენტინა

ვიჩენცა: ბრივიო, კოკო, ვივიანი, კანალსი, ბელოტი, ბეგეტო, სკენარდი (ფირმანი 78), დი კარლო, ბარონიო (ამბროზეტი 46), ლუიზო, ოტერო (დი ნაპოლი 63)
ფიორენტინა: ტოლდო, ფალკონე, ფირიკანო, პადალინო, სერენა, კოისი, რუი კოშტა, შვარცი (ბიჯიკა 91), მორფეო (ტაროცი 61), ბატისტუტა, ოლივეირა (რობიატი 82)
0:1 ოლივეირა (6), 0:2 ბატისტუტა (42), 0:3 ოლივეირა (53), 0:4 სერენა (58), 0:5 შვარცი (64), 1:5 დი ნაპოლი (80)
გაფრთხილება: ბეგეტო, სკენარდი, ბატისტუტა

„უდინეზეც“, „პარმაც“, „რომაც“, რა თქმა უნდა „მილანიც“, მაგრამ უპირველეს ყოვლისა, ალბათ მაინც „ინტერი“ და „იუვენტუსი“ — ახალ „სკუდეტოს“ ეს ორი გუნდი უმიზნებს სერიოზულად, მისი მფლობელი ამ ორის რბოლაში გაირკვევა. მართალია რბოლის დამთავრებამდე ჯერ ძალიან შორია, მაგრამ მისი ნახევარი რამდენიმე კვირაში გაილევა.

„პარმა“? „პარმამ“ ბოლო თამაში შთამბეჭდავად მოიგო. აუტსაიდერმა „ნაპოლიმ“ მას საკუთარ „სან პაულუზე“ წინააღმდეგობა ვერ გაუწია და დიდი ანგარიშით, 0:4 დამარცხდა. მასპინძლებს პირველ ტაიმში რაფაელე ლონგო გაუძევეს. რამაც ისედაც დასუსტებული ნეაპოლელები უარესად დააჩანაკა, მაგრამ რიცხობრივმა უმცირესობამ მათ ქომაგთათვის არგუმენტად არ ივარგა. „ნაპოლის“ გულშემატკივრებმა ჯერ სკამებს ცეცხლი წაუკიდეს, შემდეგ კი პოლიციის რაზმთან იჩხუბეს. საინტერესო ფაქტია, რომ „პარმას“ აქამდე ნეაპოლში არასდროს მოეგო. გამარჯვებულთაგან ორი გოლი არგენტინელმა ერნან კრესპომ გაიტანა, თითო შვედმა იესპერ ბლომკვისტმა და დინო ბაჯომ.

და მაინც, ჯერჯერობით „პარმა“ ის გუნდი არ ჩანს „ინტერს“ და „იუვენტუსს“ სერიოზულად რომ შეეთამაშოს. ამას ჩემპიონთა ლიგაში მისი ფეხის დაცდენაც ადასტურებს და ისიც, რომ გუნდს ბოლო ტურამდე 9 ნოემბრის შემდეგ არ მოეგო. ისე კი არაფერია გამორიცხული. მით უფრო, რომ იგი „ინტერს“ 8 ქულით ჩამორჩება, „იუვენტუსს“ — ოთხით.

„უდინეზე“? არა, გიგანტებთან საჭიდაოდ დალვინებული არაა. მართალია, უდინეს გუნდს საკმაოდ მაღალი კლასის ფეხბურთელები ჰყავს, თუნდაც გერმანელი ოლივერ ბირჰოფი ან ბრაზილიელი მარსიო ამოროზო, მაგრამ გაქანება აკლია. ბოლო ტურის შეხვედრაში, ბარიში, ადგილობრივმა გუნდმა სტუმრებს კარგად ორგანიზებული დაცვა შეაგება და გოლი არ გაატანინა. თავის მხრივ არც „უდინეზეს“ გაუშვია. აღსანიშნავია, რომ აქამდე უდინელებმა ზედიზედ ოთხჯერ გაიმარჯვეს.

„რომა“? „რომა“ „სან სიროზე“ ლიდერთან 0:3 დამარცხდა. ანგარიში თავისთავად მეტყველია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ „ინტერს“ არ ჰყავდა ბრაზილიის ნაკრებში მივლინებული რონალდო, მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ „რომას“ მეორე ტაიმში ორი ფეხბურთელი გაუძევეს მოედნიდან. თუმცა კონტრარგუმენტს რა გამოლევს. სანამ მსაჯი რომაელებს პივოტოს და ტოტის გააძევებდა, ანგარიში უკვე 2:0 იყო და ისეც რომ არა, გუნდი, რომელსაც საქმე კარგად მიუდის, არ უხეშობს. დედაქალაქელები კი სწორედ ამ დანაშაულისთვის დაუბრუნეს გასახდელს ვადაზე ადრე. სტუმრების დაცვა მალიმალ ცდებოდა და თავის ავსტრიელ მეკარეს მიხაელ კონსელს „ინტერის“ ფორვარდებს ხახაში უგდებდა. მოკლედ, ლიდერთა ჯგუფთან სიახლოვის მიუხედავად „რომა“ წესითა და რიგით არ უნდა იყოს ის გუნდი, რომელიც ჯიქურ გაილაშქრებს „სკუდეტოზე“ და ამ ლაშქრობისას ფეხი არ დაუცდება.

„მილანი“? ბევრი დაკარგა, თორემ... ფაბიო კაპელოს, თავის ვარსკვლავებით მოჭედილ გუნდს რომ დაუბრუნდა, დრო სჭირდებოდა, მართლა ჯადოქარი კი



ინტერი — რომა. ფრანგ ჯორკაეფს და არგენტინელ სიმეონეს ბრაზილიელი რონალდოს არყოფნაში გოლები გააქვთ

არაა. დროს რომ ვამბობთ, წლებს არ ვგულისხმობთ. ინგლისელი მწვრთნელი როი ჰოჯსონი, გასულ სეზონში „ინტერს“ რომ ედგა სათავეში, ახლა კი სამშობლოში, „ბლექბერნშია“, ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობდა იტალიურ გუნდში ის კაცი არ უნდა მივიდეს ვინც თვლის, რომ გუნდის შექმნას ორი-სამი წელი სჭირდება, იქ იმ ხალხმა უნდა იმუშავოს შედეგს დაუყოვნებლივ რომ აღწევსო. ასეთია კაპელო: რამდენიმე ტური და „მილანი“ ძლიერი გუნდია. ერთია მხოლოდ, იმ ტურებში ქულები დაიკარგა.

დღეს „მილანს“ 19 ქულა აქვს, „ინტერს“ 11-ით ჩამორჩება. „იუვენტუსს“ შვიდით. საეჭვოა, „ინტერმა“ და „იუვემ“ ჩემპიონატის განმავლობაში დიდი ჩავარდნა განიცადონ, თორემ შეიძლებოდა კაცს რაიმე გეფიქრა. რაც შეეხებათ ზემოჩამოთვლილთ, მათ რომ გაუსწროს გასაკვირი სულაც არ იქნება.

ბოლო ტურში კი „მილანი“ ბერგამოს ესტუმრა და „ატალანტას“ 2:1 აჯობა. შავ-წითელთა ჰოლანდიელი თავდამსხმელი პატრიკ კლუივერტი აშკარად გონს მოეგო, კვლავ გოლი გაიტანა. სხვათა შორის „მილანმა“ თავისი ლიბერიელი ვარსკვლავის ჟორჟ ვეას გარეშე ითამაშა, რადგან ვეას ზურგი სტკივა და შესაძლოა მთელი თვეც გაუცდეს.

„ინტერზე“ ნაწილობრივ უკვე ვისაუბრეთ, ვთქვით, როგორ გაიმარჯვა ბოლო შეხვედრაში, ზოგადად კი შეიძლება იმის აღნიშვნა, რომ მენავთობე მასიმო მორატის მილანელებმა მიაგნეს იმ განწყობილებას, იმ თამაშს, რომელიც გამარჯვებას მოუტანთ. თორმეტ ტურში ვარსკვლავებით მოჭედილმა „ინტერმა“ 9 მოიგო, 3 ფრე ითამაშა, წაგებით კი, როგორც არითმეტიკა გვაჩვენებს, არ წაუგია. შესაძლოა, იტალიის პირველობასთან ამას კავშირი არ ჰქონდეს, მაგრამ უეფას თასზე შედეგიანი სვლაც ლუიჯი სიმონის და მისი ფეხბურთელების სასარგებლოდ მეტყველებს. თან, გეხსომებათ, თითქოს ნიძლავიაო, „ლიონთან“ და „სტრასბურთან“ პირველი შეხვედრები წააგო, მდგომარეობა გაირთულა, საპასუხოები კი დათქმულივით მოიგო.

„იუვენტუსი“ პიაჩენცაში იმ გუნდს აღარ ჰგავდა გასულ ოთხშაბათს, ჩემპიონთა ლიგაში „მანჩესტერ იუნაიტედს“ რომ სძლია და მაინც გაგლიჯა მის წინ აღმართული ჯებირი. და მაინც, „ბებერ ქალბატონს“ შეეძლო გამარჯვება, თუნდაც უსახური თამაშით 1:0-ს იგებდა და რომ არა მეკარის, ანჯელო პერუცის შეცდომა ვინ იცის, იქნებ მიეღწია კიდეც წარმატებისა და მორიგი სამი ქულისთვის. პერუცი მეტისმეტად უხერხულად მოეპყრო ბურთს და უგუნური გოლი გაატანინა მოწინააღმდეგეს.

ყოველ თამაშს წინ წუთიერი დუმილი უძღოდა. ეს დუმილი ჯოვანი ალბერტო ანიელის ხსოვნას მიაგებდა პატივს. ახალგაზრდა ანიელი „იუვენტუსის“ მფლობელთა, „ფიატის“ საავტომობილო იმპერიის შემქმნელთა, ანიელების ოჯახის წევრი გახლდათ.

პაპუნა ძედია

### სერია B

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სალერნიტანა | 14 | 8 | 6 | 0 | 31:12 | 30 |
| ვენეცია | 14 | 9 | 2 | 3 | 22:10 | 29 |
| კალიარი | 14 | 5 | 7 | 2 | 18:12 | 22 |
| ტორინო | 14 | 6 | 4 | 4 | 22:20 | 22 |
| პერუჯა | 14 | 6 | 4 | 4 | 14:14 | 22 |
| ვერონა | 14 | 6 | 3 | 5 | 21:12 | 21 |
| კიევო | 14 | 5 | 5 | 4 | 13:16 | 20 |
| ფ.ანდრია | 14 | 5 | 4 | 5 | 19:20 | 19 |
| რეჯინა | 14 | 5 | 4 | 5 | 14:15 | 19 |
| ლუკეზე | 14 | 5 | 4 | 5 | 14:15 | 19 |
| რეჯანა | 14 | 5 | 4 | 5 | 11:12 | 19 |
| ტრევიზო | 14 | 4 | 6 | 4 | 16:16 | 18 |
| პესკარა | 14 | 4 | 4 | 6 | 16:20 | 16 |
| ანკონა | 14 | 3 | 6 | 5 | 18:21 | 15 |
| რავენა | 14 | 3 | 5 | 6 | 11:14 | 14 |
| დი სანგრო | 14 | 2 | 8 | 4 | 19:24 | 14 |
| ფოჯა | 14 | 3 | 5 | 6 | 16:21 | 14 |
| ჯენოა | 14 | 4 | 2 | 8 | 18:24 | 14 |
| მონცა | 14 | 2 | 8 | 4 | 15:21 | 14 |
| პადოვა | 14 | 3 | 3 | 8 | 10:19 | 12 |

რას არ გაიგებ! მილანის „ინტერის“ მოუსვენარი თავდამსხმელი მაურიციო განცი, გაზეთების ცნობით, ახალი წლიდან „მილანში“ გადადის [illegible] თამამი ნაბიჯია. „ინტერი“ ხომ „მილანის“ მტრადაა შობილი. შავ-ლურჯა კლუბი ხომ შავ-წითლის დირექტორატის აჯანყებულმა წევრებმა დააარსეს.

## სან სიროდან სან სიროზე

შეგახსენებთ, რომ თავიდან იყო „მილანი“, რომლის ხელმძღვანელთა ერთმა ჯგუფმა ამ საუკუნის დასაწყისში, გუნდში უცხოელ მოთამაშეთა აყვანა ისურვა. მეორე, უფრო დიდმა ჯგუფმა კატეგორიული უარი განაცხადა. ამის გამო აჯანყებულებმა ცალკე გასვლა დაახალი საფეხბურთო კლუბის დაფუძნება გადაწყვიტეს. კონფლიქტის მიზეზის შესაბამისად მათ თავიანთ პირმშოს „ინტერნაციონალე“ დაარქვეს და დაიწყო აგერ უკვე საუკუნოვანი შუღლი.

რაც „ინტერმა“ ბრაზილიელი ვარსკვლავი რონალდო იყიდა, განცი სათადარიგო სკამზე ზის. არადა, მაურიციოს თავმოყვარეობა აქვს, ბოლოსდაბოლოს უეფას თასის გასულ გათამაშებაში მილანის გუნდმა ფინალში რომ წააგო, მან 10 გოლი გაიტანა.

— დღეს უკვე ნათელია, რომ სანამ რონალდო და ჯორკაეფი „ინტერში“ იქნებიან, ჩემთვის მოედანზე ადგილი არ მოიძებნება. მე მჭირდება ისეთი გუნდი, სადაც ყოველ კვირას მათამაშებენ. აქ თავდასხმაში ადგილები დაჯავშნულია — განუცხადა 29 წლის თავდამსხმელმა „გაძეტა დელო სპორტს“.

„მილანი“ კი არ მალავს, რომ თავდამსხმელს ეძებს. მართალია მისი ჰოლანდიელი შენაძენი პატრიკ კლუივერტი ბოლოხანს ათამაშდა, მაგრამ მან და შვედმა ანდერს ანდერსონმა საბოლოოდ აულეს თუ არა იტალიელ მცველებთან ბრძოლას ალღო, ჯერ კიდევ საკითხავია. ერთ-ერთ საგაზეთო წერილს თუ ვენდობით, „მილანის“ თავკაცმა ფაბიო კაპელომ „ინტერს“ განცის დაუყოვნებლივ გაშვება სთხოვა, მაგრამ ეტყობა, „ინტერის“ მეპატრონე მასიმო მორატი „სამპდორიასა“ და „პარმას“ ყოფილ მოთამაშეს ჯერ დაიტოვებს. საქმე ის გახლავთ, რომ „მილანი“ და „ინტერი“ იანვარში, იტალიის თასზე, ორ შეხვედრაში უნდა შეეჭიდონ ერთმანეთს და იქ განცმა გოლი რომ გაუტანოს, შავ-ლურჯებისთვის მწარე ასატანი იქნება.

## მძიმე ესპანური კვირა

ესპანეთის დიდმა ორეულმა, „ბარსელონამ“ და „რეალმა“ კვლავ გააჩაღეს ურთიერთდევნა. ახლა, შობამდე ერთმანეთს რომ არ ჩამორჩნენ უძველესმა მეტოქეებმა რთული კვირა უდანაკარგოდ უნდა განვლონ. კატალონიის გუნდი, რომელიც ბოლო ტურის შემდეგ დედაქალაქელებს ორი ქულით უსწრებს, ხვალ „ბეტისს“ ეთამაშება, უქმეებზე კი მადრიდის „ატლეტიკოს“. „რეალის“ მეტოქეები „სარაგოსა“ და „ესპანიოლი“ იქნებიან.

დიდმა მეტოქეებმა ბოლო ტურში გაიმარჯვეს. „ბარსელონამ“ სეზონის საუკეთესო მატჩი ჩაატარა, „ესპანიოლს“ 3:1 მოუგო, შთაგონებამოკლებული „რეალი“ კი „მერიდასთან“ იღბლის წყალობით დარჩა გამარჯვებული — 1:0.

„ბარსელონას“, როგორც, ცხადია შეატყვეთ, უფრო მძიმე კვირა ელის. ლუის ვან გაალის ფეხბურთელებს ჩინებულ ფორმაში ყოფნა მოეთხოვებათ. ხვალ „ბარსა“ სევილიაში ბოლო დროს გამოყოჩალებულ „ბეტისს“ ზედიზედ მეოთხე გამარჯვებაში ხელს თუ შეუშლის, დაამტკიცებს, რომ მართლა სძლია კრიზისს. სტუმართათვის მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ „ბეტისის“ ქომაგები თავიანთ მოთამაშეებს გასულ სეზონში, თასის ფინალში დამარცხებისათვის შურისძიებას სთხოვენ. ამ შეხვედრიდან სამი დღის შემდეგ კი „ატლეტიკოსთან“ სეზონის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თამაშია დაგეგმილი.

გავიხსენოთ გასული სეზონი. თასის მეოთხედფინალში „ბარსამ“ „ატლეტიკოს“ 5:4 მოუგო (პირველ ნახევარ საათში მადრიდელები 3:0-ს იგებდნენ), ჩემპიონატში ერთი ისევ კატალონიელებმა მოიგეს 5:2, მეორე კი ფრედ 3:3 დამთავრდა. ეს გუნდები სუპერთასზეც შეებნენ ერთმანეთს. იქაც „ბარსელონამ“ იძალა, ორი მატჩის ჯამში 6:5 გაიმარჯვა. ამ ანგარიშების შემყურე გულშემატკივრები ამჟამადაც ბევრი გოლის ხილვას ელიან.

„ატლეტიკომ“ ბოლო ტურში მდგომარეობა გამოისწორა და მესამე ადგილზე დამკვიდრდა. „ტენერიფესთან“ შეხვედრაში მადრიდელები თავიდან 0:2-ს აგებდნენ, თანაც ერთი მოთამაშეც გაუძევეს მოედნიდან, მაგრამ მათ ანგარიშის გათანაბრება შეძლეს. და მაინც, „ატლეტიკო“, რომელიც ხვალ „მალიორკას“ მასპინძლობს თანაქალაქელ „რეალს“ ჯერჯერობით ხუთი ქულით ჩამორჩება.

„რეალის“ ქომაგები, რომლებიც მშობლიური „სანტიაგო ბერნაბეუს“ გახსნიდან 50 წლისთავს ზეიმობენ, „მერიდასთან“ გაძალებული გამარჯვებით უკმაყოფილონი იყვნენ. ამასვე გრძნობდა მწვრთნელი იუპ ჰაინკესიც.

— ჩვენ ფორმაში არ ვიყავით. უბრალოდ, ბედმა გაგვიღიმა და შეკარეშ ითამაშა ჩინებულად — თქვა მან. ასევე ცუდ გუნებაზე გახლდათ კლუბის პრეზიდენტი ლორენცო სანსი, რომელიც ჰაინკესის დაცვითი ტაქტიკითაც ყოფილა გაღიზიანებული.

— გაგვიმართლა. ცუდად ვითამაშეთ და ვიწვალეთ, მაგრამ მთელი ჩემპიონატი ხომ მნიშვნელოვანწილად წვალება გახლავთ — განაცხადა სანსმა.

სანსს ამ კვირაში კიდევ ერთი ინტერესი იქვს. ხვალვე გაირკვევა მადრიდის „რეალის“ მეტოქე ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში. გარდა ამისა, ზეგ იტალიურმა სასამართლომ განაჩენი უნდა გამოუტანოს ფრანგ ფეხბურთელს კრისტიან კარემბეუს, რომელმაც გენუის „სამპდორიადან“ „ბარსელონაში“ გადასვლაზე უარი განაცხადა. კარემბეუმ ბევრჯერ თქვა, რომ მას მხოლოდ „რეალში“ სურს თამაში.

### ფეხბურთის რუკასთან



**კვიპროსის** მე-11 ტური. ანორთოსისი — ეთნიკოსი (აშნა) 0:2, ენოსისი — აპოლონი 0:1, აპოპი — ომონია 2:4, აპოელი — ევაგორასი 2:0, ალკი — სალამინა 3:2, აელი — ანაგენისისი 1:1, ეთნიკოსი (ასშა) — აეკი (ლარნაკა) 1:4. 28 ქულით ლიდერობს ანორთოსისი, 26 ქულით მეორეა აპოლონი.

**პოლონელი ნახევარმცველი პიტერ ნოვაკი ალბათ ამერიკულ კლუბ „ჩიკაგოში“ გადავა. გერმანული პრესის ცნობით, 33 წლის ნოვაკს „მიუნხენ 1860“-ის ძირითადში ადგილის დამკვიდრება უჭირს და სწორედ ამიტომ გადაწყვიტა აშშ-ში გამგზავრება. სატრანსფერო თანხა სავარაუდოდ 500 ათასი დოლარია.**

**ხორვატიის** ჩემპიონატის გამოტოვებული მატჩი: ზაგრები — კროაცია 0:4.

## უზარმაზარი ბიზნესი

საუდის არაბეთში მარტო კონფედერაციათა თასის თამაშები როდი მიმდინარეობს. იქ დიდი ბიზნესიც ტრიალებს. კერძოდ, რიადში ფიფამ ოფიციალურად განაცხადა, რომ სამარკეტინგო ხელშეკრულება გააფორმა შვეიცარიაში დაფუძნებულ ფირმა ISL-თან. მართალია, ფინანსურ დეტალებზე არაფერი თქმულა, მაგრამ ოფიციალურ პირთა თქმით ახალი კონტრაქტი წინაზე მასშტაბურია, ეს კი ნიშნავს, რომ იგი 62,6 მილიონ დოლარზე მეტად ფასობს.

ახალი კონტრაქტი მოიცავს ფიფას ყველა შეჯიბრებას 2006 წლამდე. მასში შედის 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატიც, რომელიც იაპონიასა და კორეაში უნდა გაიმართოს და 2006 წლის ევროპის პირველობაც, რომლის მასპინძლის ვინაობა ჯერ კიდევ დასადგენია.

— ხელშეკრულება საინტერესო სიახლეებს გვთავაზობს. ეს სიახლეები ფეხბურთის განვითარებას ერთობ წაადგება — განაცხადა ფიფას გენერალურმა მდივანმა იოზეფ ბლატერმა.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### ესპანეთი. I დივიზიონი. მე-17 ტური

17 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვალენსია — დეპორტივო | 1,8 | 2,9 | 3,4 |
| სოსიედადი — სპორტინგი | 1,1 | 5,3 | 10,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,3 | 3,8 |
| სალამანკა — ტენერიფე | 1,8 | 2,9 | 3,4 |
| ატლეტიკო — მალიორკა | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,0 |
| ბეტისი — ბარსელონა | 2,4 | 2,6 | 2,4 |
| ესპანიოლი — რასინგი | 1,35 | 3,3 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| სარაგოსა — რეალი | 3,2 | 2,8 | 1,9 |
| მერიდა — ვალიადოლიდი | 1,8 | 3,0 | 3,3 |
| ოვიედო — ბილბაო | 1,9 | 2,8 | 3,2 |
| კომპოსტელა — სელტა | 2,4 | 2,8 | 2,3 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. მე-19 ტური

17 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ხაენი — სერესი | 2,1 | 2,9 | 2,7 |
| ორენსე — ელჩე | 1,25 | 3,8 | 7,5 |
| ლეიდა — ესტრემადურა | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| ლას პალმასი — ბადახოსი | 1,2 | 4,0 | 9,0 |
| ეიბარი — ლოგრონიესი | 1,4 | 3,0 | 7,0 |
| ალბასეტე — სევილია | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| ტოლედო — ატლეტიკო B | 2,4 | 2,6 | 2,4 |
| ვილიარეალი — ლეგანესი | 1,5 | 3,0 | 5,3 |
| რაიო — ალავესი | 1,5 | 3,0 | 5,3 |
| ერკულესი — ლევანტე | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| ნუმანსია — ოსასუნა | 2,3 | 2,7 | 2,5 |

### გერმანიის თასი. 1/4 ფინალი

16 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ტრირი — მანჰაიმი | 1,9 | 2,9 | 3,1 |
| ურდინგენი — შტუტგარტი | 4,2 | 3,1 | 1,6 |
| კარლ ცაისი — დუისბურგი | 3,0 | 3,0 | 1,9 |

17 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბაიერნი — ლევერკუზენი | 1,35 | 3,3 | 6,5 |

### ინგლისი. პრემიერლიგა

17 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნიუკასლი — დერბი | 1,6 | 3,0 | 4,4 |

### კონფედერაციის თასი

16 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| საუდეთი — ავსტრალია | 5,6 | 3,6 | 1,35 |
| ბრაზილია — მექსიკა | 1,2 | 4,0 | 9,0 |

17 დეკემბერი

| | |
|---|---|
| საამიროები — ჩეხეთი | გაეცანით ადგილზე |
| ურუგვაი — სამხრეთ აფრიკა | გაეცანით ადგილზე |

### ჰოლანდია

17 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ტვენტე — ვალვაიკი | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| ჰერენვენი — უტრეხტი | 1,2 | 4,2 | 8,0 |

### ტურში გატანილი გოლები:

ესპანეთი (მე-17) 25-27

## CROCO-2

### ტირაჟი №91

1. ვალენსია — დეპორტივო
2. სალამანკა — ტენერიფე
3. ბეტისი — ბარსელონა
4. სარაგოსა — რეალი
5. მერიდა — ვალიადოლიდი
6. ოვიედო — ბილბაო
7. კომპოსტელა — სელტა
8. ურუგვაი — ს. აფრიკა

ერთი ვარიანტის ღირებულებაა 1 ლარი.

მოგების ფონდს ემატება **JACK POT**

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში, პუშკინის ქუჩა 16;
კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე.


**კომპიუტერზე მუშაობის შესწავლის მსურველთა საყურადღებოდ!**

განათლების სამინისტროს თბილისის ინფორმატიკის სასწავლო-მეთოდური ცენტრი „მზიური" გიწვევთ პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ კურსებზე

თქვენ შეისწავლით MS Office პაკეტის გამოყენებას თანამედროვე ოფისში

- თანამედროვე პერსონალური კომპიუტერები და კვალიფიციური პედაგოგები
- საერთაშორისო სტანდარტის სასწავლო პროგრამები და მეთოდიკა
- ინტერნეტის საუკეთესო სერვისი World Wide Web
- სერთიფიკატი, რომელიც გზას გაგიხსნით პრესტიჟული სამსახურისაკენ

მისამართი: ი. ჭავჭავაძის I ჩიხი, №37
(„მზიურის" ტერიტორიაზე, ჩოგბურთის კორტებთან)
ტელ: 29-48-61, 23-53-17, 29-48-69 ფაქსი 29-49-61


## კალათბურთი

### რეგულარული ჩემპიონატი

# შვიდკაცა: დალასია თუ [illegible]?

12 დეკემბერი

**ლეიკერსი 119:102 ჰიუსტონი**

**ლეიკერსი: ფოქსი (30), ბრაიანტი (27)**
**ჰიუსტონი: დრექსლერი (21), ბარკლი (18+14 მოხსნა)**

ლეიკერსში საუკეთესოებმა პირადი რეკორდები დაამყარეს — რიკ ფოქსმა სეზონის და კობი ბრაიანტმა კარიერის. ჰიუსტონი მესამე მეოთხედის შუაში 69:68 იგებდა, როცა ლეიკერსმა მონაკვეთი 16:4 მოიგო და უპირატესობა არც შემდგომ გაუშვია ხელიდან.

ფილადელფიას ბევრი ნიჭიერი მოთამაშეც ჰყავს და საკმაოდ კარგი მწვრთნელიც, მაგრამ მაინც იშვიათად იგებს და დივიზიონის ცხრილის ფსკერს ხეხავს.

**ინდიანა 109:92 ვაშინგტონი**

**ინდიანა: სმიტსი (25+13 მოხსნა), მილერი (22)**
**ვაშინგტონი: უებერი (31)**

**კლივლენდი 84:85 შარლოტი**

ბოლო წამებზე უესლი პერსონმა საჯარიმო ჩააგდო და ზედიზედ 10 მატჩის მომგები კლივლენდი მისსავე მოედანზე



სიეტლი — კლიპერსი. გარი პეიტონი (ცენტრში) კლიპერსელთა გარემოცვაში

გაამწარა. წაგებულებში ყველაზე შედეგიანი იყო კემპი — 25 ქულა, მოგებულებში გლენ რაისი: მან 8-დან 5 სამქულიანი ჩააგდო, სულ კი გუნდს 32 ქულა შესძინა. პირველი მეოთხედი კლივლენდმა 25:9 მოიგო, მაგრამ ასეთი უპირატესობა ქარს გაატანა.

**დეტროიტი 93:77 ბოსტონი**

**დეტროიტი: უილიამსი (31+15 მოხსნა), ჰილი (19)**
**ბოსტონი: უოლკერი (19+11 მოხსნა), მაკარტი (19)**

**ნიუ ჯერსი 133:95 დენვერი**

**ნიუ ჯერსი: ვან ჰორნი (30), უილიამსი (18+22 მოხსნა)**
**დენვერი: ნიუმენი (21)**

დენვერს მისისიპის გამოღმა გუნდებისთვის ჯერ არ მოუგია, მათგან კი 10 მარცხი იწვნია. მშვენივრად ითამაშა ნიუ ჯერსის ახალბედამ ვან ჰორნმა, რომელმაც 30 ქულა მიითვალა.

**მინესოტა 112:101 ფინიქსი**

**მინესოტა: მიტჩელი (24), გარნეტი (20)**
**ფინიქსი: კიდი (20+8 პასი), სებალოსი (20)**

**სან ანტონიო 107:78 ორლანდო**

**სან ანტონიო: დანკანი (32+11 მოხსნა)**
**ორლანდო: გრანტი (14)**

**მილუოკი 84:87 მაიამი**

**მილუოკი: რობინსონი (28)**
**მაიამი: ოსტინი (22), ჰარდევეი (21+11 პასი + 9 მოხსნა), ლენარდი (21)**

მაიამის ლიდერს, 184-სანტიმეტრიან ტიმ ჰარდევეის ერთი მოხსნა დააკლდა სამმაგი დუბლისთვის.

**ჩიკაგო 97:70 ტორონტო**

**ჩიკაგო: ჰარპერი (20)**
**ტორონტო: უოლესი (14)**

უსუსტესად ითამაშა მაიკლ ჯორდანმა, რომლის 11 ქულა უარესი შედეგია სეზონში, მაგრამ ტორონტომ მისი ცუდი თამაშით ვერ ისარგებლა და სეზონში მე-20 მარცხი იგემა.

14 დეკემბერი

**ლეიკერსი 119:89 დალასი**

**ლეიკერსი: ბრაიანტი (30)**
**დალასი: სკოტი (18), ფინლი (18)**

18 წლის კობი ბრაიანტმა 30 ქულა დააგროვა და ორი დღის წინ ჰიუსტონთან დამყარებული კარიერის რეკორდი — 27 ქულა გააუმჯობესა.

**საკრამენტო 89:93 ატლანტა**

**საკრამენტო: უილიამსონი (20)**
**ატლანტა: ბლეილოკი (26), სმიტი (19)**

**სიეტლი 107:101 კლიპერსი**

**სიეტლი: ბეიკერი (21), პეიტონი (21+14 პასი), პერკინსი (21)**
**კლიპერსი: მიურეი (21)**

**ვანკუვერი 110:105 ჰიუსტონი**

**ვანკუვერი: რივზი (23+10 მოხსნა), აბდულ რაჰიმი (22+8 მოხსნა + 13 პასი)**
**ჰიუსტონი: უილისი (28), ბარკლი (22+21 მოხსნა)**

ვანკუვერმა მართლაც ჩინებულად ითამაშა და დამსახურებულად სძლია მეტოქეს, არადა, ჰიუსტონი 6,5 წუთით ადრე 95:90 იგებდა, მაგრამ ლი მაიერიმ და ბლოუ ედვარდსმა სამქულიანები ჩააგდეს, ვანკუვერი დააწინაურეს და საბოლოოდ ჰიუსტონს სტუმრად მეორე მარცხი აწვნიეს.

**ირაკლი ფირაშვილი**

**კლიპერსი 74:83 ატლანტა**

**კლიპერსი: კლოსი (15)**
**ატლანტა: სმიტი (22), ლეიტნერი (21+12 მოხსნა), მუტომბო (14+15 მოხსნა)**

კლიპერსმა ძალიან უხეიროდ ითამაშა, მისი სასტარტო ხუთეულის ანგარიშზე მხოლოდ 2? ქულაა.

**სიეტლი 111:98 პორტლენდი**

**სიეტლი: ბეიკერი (21+17 მოხსნა), პეიტონი (21), ჰოკინსი (21)**
**პორტლენდი: რაიდერი (21), ანდერსონი (17)**

**იუტა 68:66 დალასი**

**იუტა: მელოუნი (23)**
**დალასი: სკოტი (21), ფინლი (21)**

იუტას ძალიან კი გაუჭირდა, მაგრამ მაინც მოიგო შინ, დელტა ცენტრში, სადაც დალასს 1989 წლის 9 თებერვლის მერე ზედიზედ 16 შეხვედრაა, არ მოუგია. არც ასე ცოტა ქულა დაუგროვებიათ ამ გუნდებს და ეს შედეგი სულაც მეხუთეა ლიგის ისტორიაში. აღსანიშნავია ისიც, რომ დალასი მხოლოდ 7 კაცის ამარა თამაშობდა, ამათგან მაიკლ ფინლიმ და ჰუბერტ დევისმა 48-48 წუთი გაატარეს მოედანზე.

**ინდიანა 104:89 მაიამი**

**ინდიანა: სმიტსი (29), მილერი (28)**
**მაიამი: ჰარდევეი (28+10 პასი), მაშბერნი (18)**

ინდიანას ცენტრმა რიკ სმიტსმა 29 ქულით სეზონის რეკორდი დაიმყარა, ამას რეჯი მილერმა 28 დაამატა და უმთავრესად ამ ორის წყალობით სძლიეს ლარი ბერდის ბიჭებმა პატ რაილის შეგირდებს.

**ფილადელფია 106:91 დენვერი**

**ფილადელფია: სტეკჰაუზი (32), აივერსონი (24)**
**დენვერი: გარეტი (13+12 მოხსნა)**

**შარლოტი 79:77 ჩიკაგო**

**შარლოტი: რაისი (21)**
**ჩიკაგო: ჯორდანი (28)**

ბოლო მეოთხედში ჩიკაგომ 12-ქულიანი სხვაობა შეამცირა, მაგრამ დამთავრებამდე რამდენიმე წამით ადრე დელ კარიმ კვლავ დააწინაურა შარლოტი. კუკოჩი მატჩს გადაარჩენდა, ბოლოს სამქულიანი რომ ჩაეგდო.

**ბოსტონი 97:88 ვაშინგტონი**

**ბოსტონი: უოლკერი (23+12 მოხსნა)**
**ვაშინგტონი: ჰოვარდი (22), უებერი (20+11 მოხსნა)**

13 დეკემბერი

**გოლდენ სტ. 95:91 საკრამენტო**

**გოლდენ სტეიტი: სმიტი (25+11 მოხსნა)**
**საკრამენტო: რიჩმონდი (30)**

**ნიუ იორკი 95:83 ფილადელფია**

**ნიუ იორკი: სტარქსი (28), ჰიუსტონი (23)**
**ფილადელფია: აივერსონი (29)**

## ჭადრაკი

# სამეფოდ და სადედოფლოდ

ჰოლანდიის ქალაქ გრონინგენში მიმდინარეობს მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტთა ტურნირი ქალთა და ვაჟთა შორის. ქალებში 10 მონაწილიდან 5 ქართველი მოჭადრაკეა: მაია ჩიბურდანიძე, ნანა იოსელიანი, ნინო გურიელი, ქეთევან არახამია და ქეთევან კახიანი, თუმცა ეს უკანასკნელი გერმანიის სახელით ასპარეზობს. გათამაშდა ხუთი ტური. მეხუთე ტურში ჩიბურდანიძემ დაამარცხა გურიელი, სე ჯუნმა (ჩინეთი) — კახიანი, კრამლინგმა (შვედეთი) — არახამია, გალიამოვამ (რუსეთი) — მარიჩი (იუგოსლავია). იოსელიანი და პენგი (ჩინეთი) ყაიმზე შეთანხმდნენ. ხუთი ტურის შემდეგ 4 ქულით გათამაშებას ლიდერობს ალისა გალიამოვა, მაია ჩიბურდანიძეს 3,5 ქულა აქვს, ნანა იოსელიანსა და სე ჯუნს 3-3.

ვაჟები ოლიმპიური სისტემით ასპარეზობენ. მოჭადრაკეები ერთმანეთთან ორ-ორ პარტიას თამაშობენ თეთრი და შავი ფიგურებით, ყაიმის შემთხვევაში კი ბლიცპარტიებს გამარჯვებამდე. გათამაშებას გამოეთიშა გია გიორგაძე, რომელმაც ადამსთან (დიდი ბრიტანეთი) წააგო. ზურაბ აზმაიფარაშვილი უკვე მოხვდა 32 საუკეთესოს შორის, სადაც მისი მეტოქე იყო ალექსანდროვი (რუსეთი). პირველი პარტიის შემდეგ წინ ჩვენი თანამემამულეა 1:0.

## ძიუდო

# საქართველოს ძიუდოს ფედერაციის განცხადება

გთავაზობთ ზოგიერთ განმარტებას გაზეთ „სარბიელის" 11 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებული წერილის „წავალ, აბა, რას ვიზამ!" თაობაზე, სადაც ძიუდოისტი გიორგი რევაზიშვილი ინტერვიუში ეხება ფინანსურ საკითხებს.

ოფიციალურად ვაცხადებთ, რომ რევაზიშვილმა 1997 წელს სპორტის ხელმწიფო დეპარტამენტიდან ფინანსურად მიიღო ყველაფერი, რაც კი შესაძლებელი იყო. კერძოდ, პრემია ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორობისთვის და პრემია მსოფლიო ჩემპიონატის მეორე პრიზიორობისთვის. ამის გარდა დეპარტამენტმა დააკმაყოფილა რევაზიშვილის თხოვნა და გამოუყო დამატებითი თანხები ბინის შესაძენად.

რაც შეეხება სპონსორებისგან დანიშნულ პრემიას, გარკვეული გარემოებებისა და სირთულეების გათვალისწინებით, სპონსორებმა დროულად ვერ შეძლეს ამ თანხის გადახდა. რევაზიშვილი პირადად იყო გაფრთხილებული, რომ ეს თანხა კომპენსირებული იქნებოდა გარკვეული დროის შემდეგ. კომპენსაციის ვადა დამოკიდებულია იმაზე, თუ როდის მიიღებენ სპორტის დეპარტამენტი და ძიუდოს ფედერაცია თანხებს ბიუჯეტიდან.

ამასთან ვაცხადებთ, რომ გიორგი რევაზიშვილი ერთადერთი სპორტსმენია, რომელმაც წლეულს სპორტის დეპარტამენტიდან მთლიანად მიიღო კუთვნილი თანხა.

რაც შეეხება რევაზიშვილის საბერძნეთში გამგზავრებას. რევაზიშვილს ოფიციალურად არ მოუმართავს ძიუდოს ფედერაციისთვის საბერძნეთში გადასვლის თაობაზე და არც გათავისუფლების ფურცელი მოუთხოვია. ამდენად, ფედერაციის პრეზიდიუმს აღნიშნული საკითხი არ განუხილავს.

# ...ვივ ნიავს მოგაკარებთო...

...მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგა... შტეფი გრაფმა ავსტრალიის ღია პი... ლობაზე მონაწილეობის შესახებ გა... ხადი გააკეთა და ახალი სეზონის პი... ლი დიდი სლემის ტურნირით შეეც... კარიერის ხელახლა დაწყებას. გერ... ლმა ჩოგბურთელმა უკანასკნელად ამა ...ის 3 ივნისს, „როლან გაროსის“ მეო... დფინალში ითამაშა, მისთვის რისხ... ქცეულ სამხრეთაფრიკელ ამანდა კუ... რთან სეზონში მესამედ წააგო, მომ... ნო კვირაში კი მუხლის ოპერაცია ...ეთა და აქტიურ სპორტს კარგა ხნით ...მორდა. ისეც შეიძლებოდა მომხდა... რომ გრაფი საერთოდ არ დაბრუნე... ა ჩოგბურთს, მაგრამ გამარჯვებების ...რეილმა მაინც თავისი გაიტანა და 19 ...არს მელბურნში შარშანდელ გამარჯ... ულ მარტინა ჰინგისს, ოთხგზის ჩემ... ნ მონიკა სელეშს, 1995 წლის ტრიუ... ტორ მარი პირსს კიდევ ერთი ყოფი... ჩემპიონი შეემატება. საუკეთესო ათე... დან მწვანე კონტინენტზე მხოლოდ ...იანა ნოვოტნა არ გაემგზავრება. 29 ...ს მსოფლიოს მეორე ჩოგანმა ამას ...ენება და საუიმბლდონოდ უკეთ მო... ება არჩია. ავსტრალიის ღია პირვე... ბაზე მონაწილეობის განაცხადთა მი... ...გასულ ოთხშაბათს შეწყდა. მელ... ნში ასპარეზობის უფლება ქალებს ...ის ავტომატურად მოიპოვა კლასი... ციაში 113-მა საუკეთესომ, კაცებში 107-მა. დანარჩენ ადგილებს კვალიფი... აგავლილი, ან უაილდ-კარდით დასა... რებული ჩოგბურთელები შეავსებენ. ...უკანასკნელთა შორის მოხვდა ერთ ...ს ავსტრალიაში გამარჯვებული, აწ ...სუქებულ-დაქორწინებულ-ფორმადა... ული ანდრე აგასიც, რომელიც ამჟა... მსოფლიოს 110-ე ჩოგანია. კაცებს ...ს დანაკარგები ნაკლებია — მელბუ... საუკეთესო ათეული უკლებლივ მი... ავრება, ასეულს კი მხოლოდ ორი



შტეფი გრაფი

გერმანელი — 1991 და 1996 წლების გამარჯვებული ბორის ბეკერი და მიხაელ შტიხი დააკლდება. ავსტრალიის ღია პირველობა 19 იანვრიდან 1 თებერვლამდე გასტანს, საპრიზო ფონდი კი დიდი სლემის სხვა ტურნირებთან შედარებით კვლავ მცირე — 6,7 მილიონი დოლარი იქნება.

ავსტრალიის ღია პირველობაზე წლეულს ერთი სიახლის დანერგვას აპირებენ — პაპანაქება სიცხისგან სპორტსმენების დასაცავად კორტებს მოძრავ სახურავს გადააფარებენ. ბოლო წლების განმავლობაში აუტანელ სიცხეს მელბურნში ბევრი ჩოგბურთელი უჩიოდა, თუმცა, ორგანიზატორთა ამ წამოწყებას ყველა როდი შეხვდა სიხარულით. ამ უკანასკნელთა თქმით, ისინი საგანგებოდ ემზადებიან ავსტრალიური თაკარა მზისთვის და ზედმეტი კომფორტი სულაც არ სჭირდებათ.

# ...უზეცკი ინგლისმა დააფასა

...ნადაში დაბადებული გრეგ რუზეცკი — ამერიკის ღია პირველობის ფინალისტი ...პირველი ბრიტანელი საუკეთესოთა ათეულში — BBC-მ ინგლისის წლის ...ეთესო სპორტსმენად დაასახელა. 24 წლის რუზეცკი წლეულს კლასიფიკაცი... მეოთხე ადგილს შესწვდა და უიმბლდონზე მეოთხედფინალშიც ასპარეზობდა. ...ეკუთვნის მოწოდების სიჩქარის რეკორდი — 230 კმ/სთ და და განუყრელი ...ნა შუბლზე. „მე ძალზე გახარებული ვარ ამ პრესტიჟული ჯილდოს მიღებით და ...ყება, რომ ხმა ინგლისის საზოგადოებამ მომცა“ — თქვა რუზეცკიმ, რომელსაც ...კიდევ ცოტა ხნის წინ ახალ სამშობლოში მაინცდამაინც დიდ პატივს არავინ ...ა. მეორე ადგილი გამოკითხვის შედეგად რუზეცკის მთავარ მეტოქეს — ...ისის ნომერ ორ ჩოგან ტიმ ჰენმანს ერგო, მესამე კი სტივ რედგრეივს — ...სნობაში ოლიმპიურ ჩემპიონს.

# ...დლობა თქვენდა, თეთრებო

...ულ უქმეებზე სამხრეთაფრიკულ კე... ნში დიდი ჩოგბური გაჩაღდა — ...ონ მანდელას პატივსაცემად მოწ... ტურნირში სათამაშოდ აქ ბორის ...მა, ანდრე აგასიმ, რიჩარდ კრაიჩე... ოდ მარტინმა, ლეანდერ პაესმა, მა... ვაშინგტონმა, უეინ ფერეირამ, მარკოს ...უშკამ, ამანდა კუტცერმა და ივა წლიდან 18 გაატარა, ჩოგბურთი დიდი პოპულარობით სარგებლობდა და მათაც ჰყავდათ თავიანთი ბორის ბეკერები, ამანდა კუტცერები და იანიკ ნოები, თუმცა ცოტა ნაკლები ვარსკვლავური სტატუსის...

ნამდვილმა ბორის ბეკერმა კი შაბათს ნახევარფინალში ნამდვილი ბრძოლა გააჩაღა თავისსავით მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანთან — ანდრე აგასისთან. „საჩვენებელი ხასიათის მიუხედავად, ორივეს მაღალი კლასის ჩოგბურთის ჩვენება გვინდოდა და მე მგონი, კარგადაც გამოგვივიდა“ — თქვა უიმბლდონის სამგზის ჩემპიონმა 5:7, 6:4, 6:2 მოგებული მატჩის შემდეგ. მეორე ნახევარფინალი კვირას გაიმართა და მასში უიმბლდონის კიდევ ერთმა ჩემპიონმა — ჰოლანდიელმა რიჩარდ კრაიჩეკმა ამერიკელი ტოდ მარტინი დამაარცხა — 4:6, 6:3, 6:4. რაკილა ტურნირი კვირასვე უნდა დამთავრებულიყო, ფინალი სეტების ნაცვლად ორ ე. წ. საჩემპიონო ტაი-ბრეიკის მოგებამდე იყო. ბეკერმა პირველ გეიმში ძალზე იოლად იმარჯვა და მეორეშიც 7:4 დაწინაურდა, მაგრამ ჰოლანდიელმა თავისი მძლავრი მოწოდება აამუშავა, მიღებაზეც კარგად გაისარჯა და მატჩ-პოინტის გადარჩენის შემდეგ მატჩის ბედ-იღბალი ეჭვს უკვე აღარ იწვევდა — კრაიჩეკმა გაიმარჯვა 3:10, 11:9, 10:6. ფინალი სულ 26 წუთს გრძელდებოდა. მატჩის შემდეგ ბეკერმა განაცხადა, რომ იგი თავის თავზე იღებს სამი შავკანიანი სამხრეთ-აფრიკელი ჩოგბურთელის გერმანიაში გამგზავრებისა და გაწვრთნის თანხებს.



ბორის ბეკერი

...მ მოიყარეს თავი. უკლებლივ ყველა ...თელმა უარი განაცხადა ანაზღაუ... მიღებაზე და ტურნირის მთელი ...ვალი მანდელას სახელობის საბა... ონდში გადაირიცხა. ასპარეზობის ...გახსნაზე სამხრეთ აფრიკის პრე... მა მადლიერებით მოიხსენია ყვე... ც მონაწილეობდა — „რასობრივი ...ს ერთ-ერთი ყველაზე საშინელი ...ის“ დამხობაში და ამათ რიგებს ...ახსენები თუ მოუხსენიებელი ჩო... ელებიც მიაკუთვნა: „ჩოგბურთის ...ლავები უარს ამბობდნენ სამხრეთ ...ში თამაშზე, მიუხედავად იმისა, ...თ ძალზე დიდ თანხებს სთავაზო... ისინი ამას აკეთებდნენ ჩაგრული ...ადმი სოლიდარობის ნიშნად“. მა... ...მ აღნიშნა, რომ კუნძულ „რობენ ...ზე“, სადაც მან პატიმრობის 27

ავთანდილ სვანიძე



რეგულარული ჩემპიონატი

# კარიამ ლიგა [illegible]

**ანაჰაიმი — ვაშინგტონი 6:4**

**შაიბები: ჟიუნო 6 (0:1), მილერი 3 (0:2), ბონდრა 21 (0:3), სელიანე 25 (1:3), რუჩინი 4 (2:3), გონჩარი 2 (2:4), დენიო 2 (3:4), კარია 1 (4:4), სელიანე 26 (5:4), კარია 2 (6:4)**

ასეთ ტრიუმფალურ დაბრუნებას ანაჰაიმის ყველაზე ოპტიმისტი ქომაგებიც კი ვერ იწინასწარმეტყველებდნენ: მათმა კერპმა და იმედმა, პოლ კარიამ პირველსავე მატჩში ისეთი სანახაობის მოწმე გახადა ანაჰაიმელი მაყურებელი, თითქოს 32-მატჩიანი იძულებითი შესვენება არ მოეტოვებინოს. არადა, პირველ პერიოდში „იხვებს“ ძალიან გაუჭირდათ. მათი ყოფილი მწვრთნელის რონ უილსონის ახალი შეგირდები მედგრად დაუხვდნენ ბოლო ხანს იოლ ლუკმად ქცეულ კალიფორნიელებს, „კეპიტალსის“ მთავარი სნაიპერის — ბონდრას ზუსტი დარტყმის შემდეგ კი ანგარიში საგანგაშო გახდა, მაგრამ სელიანე-კარიას წყვილმა, რომელიც ამდენი ხნის განშორების შემდეგ მატჩის დასაწყისში კვლავ საერთო ენის გამონახვას მოუნდა, ერთი გოლის გატანა მაინც მოასწრო და, როგორც შემდეგ გაირკვა, ეს გოლი მომდევნო შტურმის წინამორბედი გახდა. თუმცა, შტურმიც არის და შტურმიც, მთელი მეორე პერიოდის განმავლობაში სტუმართა კართან ნამდვილი ქარიშხალი ტრიალებდა, ერთ სახიფათო მომენტს მეორე ცვლიდა და ამან შედეგიც გამოიღო. კარიას გამოჩენამ გამოაცოცხლა ანაჰაიმის რიცხვმრავლობის ბრიგადა და მისი ძალისხმევით „იხვებმა“ გააუვნებელყვეს ვაშინგტონელთა უპირატესობა. მასპინძელთა საუცხოო თამაშმა დედაქალაქელი გონჩარის გოლიც დაჩრდილა, რადგან ცხადი გახდა, რომ კარიასა და კომპანიას ვერაფერი შეაჩერებდა. ბოლო პერიოდში ანაჰაიმის მთავარმა სნაიპერებმა თითო-თითო გოლიც გაიტანეს და კარიამ თავის მონაგარს 2 გოლი და 2 პასი მიუმატა, თანაც 250-ე ქულა დააგროვა, სელიანემ 3(2+1) ქულა მიითვალა და 26-ე გოლით ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერი გახდა, მცველმა მირონოვმა კი 5 პასი გააკეთა(!), რაც კლუბის რეკორდი გახლავთ.

**12 დეკემბერი.** ბუფალო — კაროლინა 3:2, რეინჯერსი — ფლორიდა 3:4, ნიუ ჯერსი — მონრეალი 5:2, დეტროიტი — ედმონტონი — 2:3, ჩიკაგო — ფილადელფია 2:3, დალასი — სან ხოსე 0:1, ფინიქსი — პიტსბურგი 2:2, კალგარი — კოლორადო 3:1.

**13 დეკემბერი.** ბოსტონი — მონრეალი 4:2, ოტავა — ტამპა 1:3, აილენდერსი — ფლორიდა 4:1, ტორონტო — ნიუ ჯერსი 0:3, სენტ ლუისი — ედმონტონი 1:4, ვანკუვერი — კოლორადო 2:5, ლოს ანჯელესი — ვაშინგტონი 2:2.

**14 დეკემბერი.** ფილადელფია — ტამპა 3:0, ჩიკაგო — სან ხოსე 1:2, ფინიქსი — დეტროიტი 3:3.

სულ ცოტა ხნის წინ ნიუ ჯერსის პრობლემები არ ელეოდა და ვერც შედეგიანობით მოიწონებდა თავს, მაგრამ გუნდის მესვეურებმა რამდენიმე საკადრო ლონისძიებით უმალ გამოასწორეს მდგომარეობა. ჰოდა, „ეშმაკებიც“ ათამაშდნენ. პარასკევს მათ ერთობ სერიოზული მეტოქე — მონრეალი ჰყავდათ, მაგრამ ნიუჯერსელებმა გასაქანი არ მისცეს კანადელებს და პირველსავე პერიოდში სამი უპასუხო გოლი გაუტანეს. აქედან ორი გერინმა (4) და როლსტონმა (5) მიითვალეს, სეზონის დასაწყისში საკუთარ კლუბს რომ აუჯანყდნენ. როცა „ეშმაკები“ ასეთ სოლიდურ უპირატესობას ფლობენ, ისინი მიუწვდომელნი ხდებიან და მიუხედავად დიდი ძალისხმევისა, სტუმრებმა ანგარიშში სხვაობა ვერ შეამცირეს.

ნიუ ჯერსისთან ჭიდილმა იმდენად წაართვა ძალა მონრეალს, რომ კანადელები მეორე დღეს თავიანთ პრინციპულ მეტოქეს — ბოსტონს ვერ გაუმკლავდნენ. „დათვების“ ეგზოტიკურ-ინტერნაციონალურმა სამეულმა, სადაც შავკანიან კარტერთან (1+1, 3) ერთად რუსი ახალბედა სამსონოვი (4) და უკრაინელი ხრისტიჩი ასპარეზობენ, პირველსავე პერიოდში გადაწყვიტა მატჩის ბედი, გამარჯვების შაიბა კი სახელოვანმა ბურკმა შეაგდო.

„ეშმაკებმა“ კი მონრეალს შაბათს ტორონტოც მიაყოლეს. კვლავ შეუდარებელი იყო ლიგის ახალგამომცხვარი მილიონერი, გოლკიპერი ბროდო (მეოთხე „შატაუტი“), ხოლო ვეტერანებმა — გილმორმა (7) და ანდრეიჩუკმა, რომლებიც თავის დროზე ტორონტოში თამაშობდნენ, კიდევ ერთხელ დაუმტკიცეს ყოფილი კლუბის ხელმძღვანელებს თავიანთი სიძლიერე. სხვათა შორის, ნიუ ჯერსი ერთადერთი გუნდია, რომელსაც ფრედ არც ერთი შეხვედრა არ დაუსრულებია.

კარიას დაბრუნებამ უმალ გამოაფხიზლა ლიგის ელიტა და დადუმებული ბომბარდირები კვლავ ენერგიულად შეუდგნენ საქმეს. ბომბარდირთა ლიდერმა, კოლორადოელმა ფორსბერგმა 2 მატჩში 4 ქულა დააგროვა და თუ მისი პასის შემდეგ გატანილმა ერთადერთმა გოლმა „ეველანში“ კალგარისთან დამარცხებისგან ვერ იხსნა, ვანკუვერთან შეელმა (2+1, 11) კოლორადოს სხვა ლიდერებთან — საკიკთან (0+3) და ოზოლინშთან (1+1, 4) ერთად უკვე მე-15 წუთისთვის მოაგვარა საქმე.

ფორსბერგს ფილადელფიელი ლეკლერი მიჰყვება კვალში. მას შემდეგ, რაც მისმა პარტნიორმა ლინდროსმა ჰეთ-თრიქი შეასრულა, ლეკლერმაც იყოჩაღა და უქმეებზე სამი გოლით (სულ — 26) გაზარდა თავისი მარაგი. აღსანიშნავია, რომ



სანხოსელი ნოლანის გოლი ჩიკაგოს კარში

იგი ორივე შეხვედრის გადამწყვეტ მომენტებში გამოირჩა: ტამპასთან მატჩის შუაგულამდე ანგარიში მინიმალური იყო და სწორედ ლეკლერმა უზრუნველყო „მფრინავთა“ საბოლოო სოლიდური უპირატესობა, ხოლო ჩიკაგოსთან სნაიპერს მეტად დაეხმარა გრეტონი (1+1, 7). ამ უკანასკნელმა სეზონის წინ სენსაციურ კონტრაქტს მოაწერა ხელი, მაგრამ ჯერჯერობით მისი თამაში სახელშეკრულებო 10 მილიონ დოლარად ნამდვილად არ ღირს, თუმცა, ბოლო მატჩებში, ლეკლერს რომ შეუამხანაგეს, პერსპექტიულ ფორვარდს ოდნავ უკეთ წაუვიდა საქმე.

ბომბარდირთა კიდევ ერთმა ლიდერმა, ნიუიორკელმა ლაფონტენმა კვლავ ჩინებულად ითამაშა. მიუხედავად ამისა, მისი რეინჯერსი მაინც დამარცხდა. ფორვარდმა თავის პარტნიორებს სამი გოლი გაატანინა, მაგრამ მობერებულმა და ნაკლებად მოძრავმა მცველებმა ფლორიდელ დვორჟაკს პირველი პერიოდის ხუთი წუთის განმავლობაში უმცირესობაში ორი შაიბის შეგდების საშუალება მისცეს, რაც შედარებით სუსტი გუნდებისთვისაც საკმაოდ იშვიათი მოვლენაა.

დეტროიტი უქმეებს დამშვიდებული შეხვდა და მძაფრ პაექრობებს თავი აარიდა. ამისთვის ნჰლ-ის ჩემპიონი ედმონტონთან დაისაჯა. მართალია, შენაჰანმა (1+1, 15) პირველ პერიოდში თავისიანები დააწინაურა, მაგრამ მეორე მესამედის დასაწყისში შვედმა ლეგიონერმა ლინდგრენმა ერთ ცვლაში ორი გოლი გაიტანა. ამან „წითელფრთიანები“ საბრძოლოდ მაინც ვერ განაწყო და გოლების გაცვლისა და შეხლა-შემოხლის გარდა მათ ვერაფერი მოახერხეს. რაც შეეხება ფინიქსთან შეხვედრას, რის ვაი-ვაგლახით მოპოვებული მინიმალური უპირატესობა, რომელიც გუნდს მაკარტისა და კოზლოვის დარტყმებმა მოუტანა, დეტროიტელებმა ხელიდან გაუშვეს. არადა, მეტად რომ გარჯილიყვნენ, გათამაშების ლიდერ დალასს დაეწეოდნენ, რადგან „ვარსკვლავებმა“ სრულიად მოულოდნელად სან ხოსესთან წაიფორხილეს. ამ მატჩში ანგარიში პირველი პერიოდის მიწურულს გაიხსნა და მასპინძლებს, როგორც ჩანს, ეგონათ, რომ კალიფორნიელი კრეივენის (6) გოლის გაქვითვას და წინ გასვლას ბევრი დრო არ დასჭირდებოდა, მაგრამ შეხვედრა ისე მიილია, დალასელებმა ვერაფრით დალაშქრეს გოლკიპერ ჰრუდის კარი.

ამ მოგებამ „ზვიგენები“ ისე გაათამამა, რომ მათ ჩიკაგოსაც აწენიეს მარცხი, თანაც კვლავ უჩვეულოდ საიმედოდ ითამაშეს დაცვაში და „ქორები“ მხოლოდ ერთხელ აზეირეს. მანამდე კი სან ხოსეს ნოლანმა და ფრიზენმა (14) მოუპოვეს გადამწყვეტი უპირატესობა.

ბუფალოელმა ბარნაბიმ თავის კლუბს ოვერტაიმის ბოლო წამებზე გაამარჯვებინა კაროლინასთან შეხვედრაში, ხოლო ლოს ანჯელესის ორმეტრიანმა „მეომარმა“ მაკენამ თავის არცთუ ხანგრძლივ კარიერაში ჯერჯერობით ყველაზე მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა, რადგან „მეფეებს“ ძირითადი დროის დამთავრებამდე 29 წამით ადრე ქულა მოუტანა.

ბოლოს, რამდენიმე იუბილის შესახებ: ეს დღეები საიუბილეო გამოდგა ნიუჯერსელი ჰოლიკისთვის (300 ქულა), ასევე მცველებისთვის — დეტროიტელი ლიდსტრომის, ფინიქსელი ნუმინენის (ორივე — 250 პასი) და ვაშინგტონელი იუჰანსონისთვის (400 ქულა). რაც შეეხება დეტროიტის ფორვარდ შენაჰანს, მისი მორიგი გოლი კარიერაში 350-ე აღმოჩნდა, ხოლო ფილადელფიელმა ლეკლერმა 200-გოლიან ზღვარს მიაღწია.

სამველ ლარიბიანი

# გარტნერი ელიტაშია



ფინიქსის ფორვარდი მაიკ გარტნერი ლიგის ელიტაში შევიდა. დეტროიტთან მატჩში მის მიერ გატანილი პირველი გოლი კარიერაში მე-700 გახდა, რამაც ჰოკეისტი „დიდი ოთხეულის“ (გრეცკი 871 გოლი, ჰოუ 801, დიონი 731, ესპოზიტო 717) სრულუფლებიან პარტნიორად აქცია. 38 წლის გარტნერს ეკუთვნის უნიკალური რეკორდი — ლიგაში ჩატარებული 18 სეზონიდან მან 17-ში 30-ზე მეტი გოლი გაიტანა, რაც თვით გრეცკისთვისაც კი მიუწვდომელი გახლავთ. ბოლო ხანს კი სახელოვან სნაიპერს მიზანმა უმტყუნა: შარშანდელი სეზონის ბოლოს 16-მატჩიან „სიმშრალეს“ წლევანდელი უხეირობა დაემატა (პირველ ცხრა შეხვედრაში ერთი გოლი), რასაც შემდეგ ტრავმაც მოჰყვა, მაგრამ გამოჯანმრთელებული გოლეადორი გაორმაგებული ენერგიით დაუბრუნდა თავის კლუბს და, როგორც იქნა, ნავსი გატეხა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## თხილამურობა

# ფათერაკები

ვაის გავექარე, ვუის შევეყარეო, მოთხილამურეებმა უნდა თქვან. ჩრდილოეთ ამერიკის ამინდის ჭირვეულობამ ხომ რამდენიმე სტარტი ჩაუშალათ და ევროპისამ სულ მთლად აურიათ დავთრები.

წინა კვირაში ვალდიზერში ქალებისა და ვაჟების ორ-ორი ეტაპი იყო დანიშნული, მაგრამ სამი ჩაიშალა. ხუთშაბათს გაწვიმდა და სტარტზე თოვლი რომ გაალღო, მასპინძლებმა დიაცთა სუპერ-გიგანტის გამართვა ველარ გაბედეს. პარასკევს ბარაქიანად რომ მოთოვა, გაუქმდა ქალთავე გიგანტური სლალომი, რაკი ფრანგებს ახლა ზვავის ჩამოწოლისა შეეშინდათ, თუმცკი დაშვების ტრასაზე დინამიტი მაინც აафეთქეს, რათა ვარჯიშის გამართვა მოხერხებულიყო.

ვერც აქედან გამოვიდა რამე. შაბათს ნისლი ჩამოწვა ოკ (ორეიე-კილის) ტრასაზე და რაკი ერთი ვარჯიშიც არ გამართულიყო, ვაჟთა დაშვება გადაიტანეს ამ პარასკევისთვის, ოღონდაც არა ვალდიზერში, არამედ ვალგარდენაში (იტალია), სადაც დაშვება ისედაც დანიშნულია კალენდრით, ოღონდ შაბათს. სამაგიეროდ, ქალთა თასის ამ უიკ-ენდის პროგრამა — ერთბაშად ოთხი სახეობა ვეისონაზიდან გადმოიტანეს – იმავ ვალდიზერში, რაკი შვეიცარიაში თოვლი ცოტა ყოფილა.

ქალებისთვის ახალი განრიგი სახელდახელოდ გამოცხვა: ხვალ გადმოტანილი დაშვებაა, ზეგ — ერთი კვირით დაგვიანებული სუპერ-გიგანტი, მაზეგ — ვეისონაზური გიგანტური სლალომი, შაბათს — სლალომი და კომბინაციაც, მაგრამ სავოიაში გუშინ კვლავ რომ თოვდა და ნისლიც იწვა, დაშვებაში ვარჯიში ისევ ჩაიშალა, რამაც ახალი განრიგიც შეიძლება ფარატინა ქაღალდად აქციოს, რაც ვალდიზერისთვის ახალი ამბავი სულაც არ იქნება: 1991 წელს იქ დიდთოვლობამ ოთხივე სტარტი ჩააფლავა.

ამინდის ჭირვეულობა იქეთ იყოს და ერთადერთ გამართულ ეტაპზეც კურიოზი მოხდა. 25 წლის ექს-კალატოზმა და თხილამურობის ექს-ინსტრუქტორმა მაიერმა სეზონში მესამედაც მოიგო შეჯიბრი — გიგანტური სლალომის დიდოსტატ ფონგრენიგენს 0,40 წამით აჯობა, მაგრამ ძლეულის გუნდმა უმალ პროტესტი შეიტანა, ესაო და გახარებულმა გამარჯვებულმა ცალი თხილამური წითელ ხაზამდე მოიხსნა და ზე აღმართაო.



ამ დღეების სავოიური პეიზაჟი

წესი წესია და მსაჯებმაც მაიერს დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს, ყველა სხვა მონაწილე კი ცხრილში ერთი ადგილით აღაზევეს, რისი წყალობითაც პირველობა ფონგრენიგენს ხვდა წილად.

მაიერს მარცხი გამოუცდელობით მოუვიდა. გული ძალიანაც დაწყდა, მაგრამ თქვა, დღეს ბევრი ვისწავლეო. რაც შეეხება წყეულ ხაზს, იგი ტელე-კომპანიებმა შემოაღებინეს თხილამურობის მამებს. საქმე ისაა, რომ უწინ გამარჯვებულები ფინიშზევე იხსნიდნენ თხილამურს, მაგრამ კამერა მათ ყოველთვის ვერ მისდევდა და ტელე-ეკრანზე დამამზადებლის რეკლამაც ველარ ხვდებოდა, ხაზის გავლებით კი ყველაფერს თავ-თავისი ადგილი და დრო მიეჩინა.

ისიც სათქმელია, რომ ვალდიზერში წითელი ხაზი ჩვეულზე მოშორებით გაევლოთ, რაზეც ავსტრიამ პროტესტი შეიტანა.

ირაკლი ნინუა

**ვალდიზერი (სავოია, საფრანგეთი)**

14.12. ვაჟთა გიგანტური სლალომი: 1. მიხაელ ფონგრენიგენი (შვეიცარია); 2. შტეფან ებერჰარტერი (ავსტრია) ჩამორჩა წამის 93 მეასედით; 3. ჰანს კნაუსი (ავსტრ) 109; 4. ურს კელინი (შვეიც) 132; 5. სტივ ლოხერი (შვეიც) 155; ... 8. ალბერტო ტომბა (იტალია) 177

სეზონის 8 ეტაპის ჯამი: ჰერმან მაიერი (ავსტრია) 429 ქულა; ებერჰარტერი 346; ხეტილ-ანდრე ომოდტი (ნორვეგია) 297; იოზეფ შტრობლი (ავსტრ) 276; ფონგრენიგენი 274

## რაგბი

ინგლისი – ახალი ზელანდიის სარაკო, 26:26 ფრეზე თუ თვალს დავხუჭავთ, მართალი მოგვეჩვენება მედიის მაგნატ რუპერტ მერდოკის სარაგბო პროპაგანდის დევიზი, ნახევარსფერო ერთიღა – სამხრეთი დარჩაო!

სათანადო, კლიპად გაფორმებული რეკლამა პროფესიული რაგბის გარიჟრაჟზე გადაიცემოდა მერდოკის ტელე-არხებით. რაგბში ჩაუხედავი ხალხისთვის ვიტყვით, რომ ეს სულ ახლახანს — შარშანა და წელს იყო, კლიპში კი ზელანდიის „ოლ ბლექსის" მორკინალები ბალისტიკურ ჭურვებად გადაიქცეოდნენ, ცაში აიჭრებოდნენ, ჩრდილოეთი ნახევარსფეროს რაგბის ბასტიონებს — ბრიტანეთსა და საფრანგეთს დააცხრებოდნენ თავს და მათ ნაცარ-ტუტად აქცევდნენ.

დიახ, სამხრეთელ ბუმბერაზებს თავიანთ რაგბზე ფრიადი წარმოდგენა აქვთ. სანახაობათა ბაზარზე საქონლის წარმოსაჩინებლადაც დაუღალავად მუშაკობენ. ამიტომაა, რომ საგაისო ზე-12-ის განრიგი სტარტამდე სამი თვით ადრე გამოაქვეყნეს, სამეულის სერიალის კალენდარი კი მის დაწყებამდე შვიდი თვით ადრე მოფინეს გულშემატკივართა მსოფლიო ამქარს სამხრეთული რაგბის იდეურ ცენტრ სიდნეიდან.

### ზე-12-ის სერიალი

ნბა-ისა და ნჰლ-ის სარაგბო ანალოგში სიახლეა.

არა, მონაწილენი არ მომრავლებულან: მერდოკის ხალხმა გაფართოება 2000 წლამდე გადადო, ბუენოს-აირესსა და ზღვისრეთის არქიპელაგების გუნდსაც სანუგეშოს არაფერს შეპირებია, და თუ XXI საუკუნეში საქმე მაინცა და მაინც ზე-16-ზე მიდგება, სამხრეთელი ოლრაშები წილში უცხოს არავის გაიყვანენ: თითო გუნდს დაუმატებენ ახალ ზელანდიასა და სამხრეთ აფრიკას, ავსტრალია კი სტრატეგიულ პუნქტებში — მელბურნსა და პერთში დააარსებს ახალ სარაგბო ცენტრებს.

გაისად შეიცვლება სამხრეთი აფრიკის წარმომადგენლობის წესი. კარრის თასის ოთხი მოწინავე პროვინციის მაგივრად „ქურციკეთი" შეჯიბრში ჩააბამს ოთხ რეგიონს. მათ საზღვართა გამო ამტყდარი ომი რომ დასრულდა, გუნდებს სახელები ციმციმ დაუძებნეს: კეიპტაუნში დაფუძნდა დასავლეთის ტაროსი, დურბანში სანაპიროს ზვიგენები, პრეტორიაში ჩრდილოეთის ხარები, იოჰანესბურგში ოქროსფერი კატები.

რეგიონთა ცენტრები შინ გასამართი მატჩების ნაწილს უმცროს პარტნიორებს გაუზიარებენ. ამისი წყალობით ექვს ქალაქს თითო თამაში ერგება, ბლუმფონტეინს კი — ორიც, რადგან ქვეყნის რაგბის კავშირს ბევრი ედავა და სრულიად სამართლიანადაც: იქაური ნარინჯი წელს კარრის თასის ფინალში იყო, მაგრამ ზე-12-ში მაინც ჰაუტენჯს შეუერთეს. საგულისხმოა ისიც, რომ საზიარო გუნდის კატებად მონათვლა კომპრომისია: ჰაუტენჯს (ყოფილ ტრანსვაალს) ხომ ლომები ყავს, ნარინჯს კი — ავაზები.

ავსტრალიაში ახალი არაფერია: სიდნეი, ბრისბენი და კანბერა რჩებიან გუნდების ბინებად, ზელანდიაში კი ბე-



# დარჩა ერთი ნახევარსფერო

ლადებმა სადაურობის მაჩვენებლად ვაიკატო მოიცილეს, რაკი ხუთი პროვინციის ნაკრები არიან. კავშირი იგივეს თხოვდა კენტებრის ჯვაროსნებს, მაგრამ ეს გაუჯიქდა. დანარჩენი სამი გუნდის სტატუსი უცვლელია.

შეჯიბრი ტრადიციული ფორმულით გაიმართება. 12 უიკ-ენდი დაეთმობა წრიულ შეჯიბრს, ორი — ნახევარფინალებსა და ფინალს. სტარტი 27 თებერვალსაა, ფინიში — 29-30 მაისს. ორგზის ჩემპიონ ოკლენდის ლურჯებს (ზელანდია) მძიმე გამოცდა ელის: ექვს მატჩს ხომ სტუმრად გამართავს და სტარტზეც აფრიკაში ზვიგენებსა და კატებს შეერკინება.

პროვინციულიდან ეროვნული გუნდის დონეზე ავინაცვლოთ.

ვიდრე ერთმანეთს დაერეოდნენ, სამხრეთელები ჯერ ევროპელებს წაესპარინგებიან: ზელანდია უმასპინძლებს ინგლისს, ავსტრალია — შოტლანდიას, აფრიკა — ვერან ირლანდიას. ინგლისი ზელანდიამდე ჯერ ავსტრალიაში შეივლის კუკის თასის გასათამაშებლად, „კივეთიდან" კი ჩააკითხავს აფრიკას, სადაც უელსიც შეივლის.

მოკლედ, ლამისაა ხორცი შეესხას ყოველწლიური მსოფლიო სერიალის გამართვის მერდოკისეულ გეგმას. ისე კი, ეს სპარინგ-სერია მთლად ფეხბურთის მსოფლიო პირველობას ემთხვევა.

**რაგბის სამყარო**

მსოფლიო რაგბის ყოველკვირეული მიმოხილვა

WORLD OF RUGBY

19.12 - 3:00, 18:00; 20.12 - 4:00, 8:30
26.12 - 20:00; 27.12 - 4:00; 28.12 - 21:30; 30.12 - 12:00

საქართველოს თარიღითა და დროით

| | | |
|---|---|---|
| 6.06 | ბრისბენი | ავსტრალია — ინგლისი |
| 13.06 | სიდნეი | ავსტრალია — შოტლანდია |
| | ბლუმფონტეინი | აფრიკა — ირლანდია |
| 20.06 | ბრისბენი | ავსტრალია — შოტლანდია |
| | პრეტორია | აფრიკა — ირლანდია |
| | დანიდინი | ზელანდია — ინგლისი |
| 27.06 | პრეტორია | აფრიკა — უელსი |
| | ოკლენდი | ზელანდია — ინგლისი |
| 4.07 | კეიპტაუნი | აფრიკა — ინგლისი |

### სამეულის სერიალი

სერიალში ინდოეთის ოკეანის გადამფრენი გუნდი ამიერიდან ერთი უიკ-ენდი დაისვენებს. ზელანდია და აფრიკა ოდინდელ მეტოქეებს კვლავაც რაგბის ალიარებულ ციტადელებში ეთამაშებიან, ავსტრალია კი წელს აღებულ გეზს მიუყვება და თამაშს არა-სარაგბო შტატების ქომაგობას აუვარებს.

„ვოლაბები" „ოლ ბლექსს" ისევ მელბურნში ეთამაშებიან. წელს ბლედისლოუს თასმა იქაურ „კრიკეტ გრაუნდზე" 90 ათასი მოსეირე მიიზიდა და ვიქტორიის შტატს 60 მილიონი დოლარი სარფი მოუტანა. ჩიტი ბრდღვნად ღირსო და ოზებიც ტესტ-რაგბს ამიერიდან ყოველ წელს დააგემოვნებინებენ ფუტიზე (ავსტრალიურ ბურთაობაზე) გადარეულ საზოგადოებას.

რაგბის მეორე შეჭრა პერთის 40-ათასა „სუბიაკო ოვალზე" შედგება. სპორტული კერპები იქაც კრიკეტი და ბურთაობა არიან, ტესტ-რაგბი კი პირველად გაიმართება დასავლეთი ავსტრალიის დედაქალაქში. ერთი სიტყვით, სერიალის ორივე საშინაო თამაშს „ვოლაბები" მთლად შინ მაინც ვერ ითამაშებენ.

| | | |
|---|---|---|
| 11.07 | მელბურნი | ავსტრალია — ზელანდია |
| 18.07 | პერთი | ავსტრალია — აფრიკა |
| 25.07 | ველინგტონი | ზელანდია — აფრიკა |
| 1.08 | კრაისტჩერჩი | ზელანდია — ავსტრალია |
| 15.08 | დურბანი | აფრიკა — ზელანდია |
| 22.08 | იოჰანესბურგი | აფრიკა — ავსტრალია |
| 29.08 | სიდნეი * | ავსტრალია — ზელანდია |

* ოდენ ბლედისლოუს თასზე

### მსოფლიო თასი

ზღვისრეთის ბოლო შესარჩევ სტადიაზე ავსტრალია 18-26 სექტემბერს სიდნეიში, კანბერასა და ბრისბენში უმასპინძლებს სამოას, ტონგასა და ფიჯს. კანბერის „ბრუს სტედიუმზე" და სიდნეის გარეუბან პარამატას არენაზეც ტესტ-რაგბი ასევე პირველად გაიმართება. მსოფლიო თასზე სამი მოწინავე გადის, მაჩანჩალა კი სანუგეშო ტურნირში ჩაებმება.

ნიკო ვეფხვაძე

## აფროსნობა

# კალეიდოსკოპური სტარტი

**ვიტბრედის გარსაქვეყნო ნაოსნობა ვოლვოს თასზე**

III სტადია. ფრიმენტლი — სიდნეი
13 - 22 დეკემბერი (2250 მილი)
ვითარება გუშინ, გრინვიჩის დროით 06.00 საათზე

| იახტა | დროშა | ქ | სკიპერი | დარჩა |
|---|---|---|---|---|
| ტოშიბა | აშშ | 157 | სტენდბრიჯი | 1699.1 |
| ჩესი რეისინგ | აშშ | 132 | კოლინზი | +1.8 |
| სვიდიშ მეჩ | შვედ | 161 | კრანცი | +5.1 |
| სილკ კატ | ბრიტ | 168 | სმითი | +5.7 |
| ბრიუნელსანერჯი | ჰოლანდ | 36 | პაინერი | +6.3 |
| მერიტ კაპ | მონაკო | 158 | დოლტონი | +6.8 |
| ი-ეფ ლენგვიჯ | შვედ | 197 | კეიარდი | +10.5 |
| ინოვეიშენ კვერნერ | ნორვ | 207 | ფროსტადი | +11.5 |
| ი-ეფ ედუკეიშენ | შვედ | 60 | გიუ (ქალი) | +13.5 |

შაბათს, გრინვიჩულად 6.30 საათზე, გაჩაღდა „დიდი ავსტრალიური უბის ომი". მედიამ ასე მონათლა გარსაქვეყნო ნაოსნობის III სტადია, რომელიც ოთხი სპრინტიდან მაინც უგრძესია.

მარშრუტი შორეული კონტინენტის სანაპიროს მიუყვება. ლიუვინის კონცხის შემოვლის შემდეგ ფლოტმა დიდ უბეში შეცურა და გეზი აიღო მუხთალი ბასის სრუტისკენ, ავსტრალიას კუნძულ ტასმანიისგან რომ ყოფს.

რაკი სტადია მოკლეა, ნავებს ტაქტიკური ბრძოლისთვის შეზღუდული გასაქანი აქვთ. ბევრით დაწინაურებაც ვერ ხერხდება. უბეში ასპარეზობა გარსაქვეყნოზე მეტად უფრო კლასიკურ აფროსნობას ჩამოგავს. ამიტომაა, რომ მიმომხილველები წარმატებას უწინასწარმეტყველებენ ბობოლა ამერიკელი პოლ კეიარდის „ლენგვიჯს".

მართლაც, ეს ნავი პოზიციების პირველსავე შეჯერებაზე წინ აღმოჩნდა. ამ დროს სამხრეთ-დასავლეთიდან 20-კვანძა ქარი ქროდა.

კეიარდის ბიჭები 06.00 საათზე კვირასაც წინ იყვნენ, მაგრამ მომდევნო 24 საათში სულ მთლად გაანიავეს უპირატესობა. სამაგიეროდ, მეორე ადგილი ისევ უჭირავს „ჩესის", ვისი პატრონი ჯორჯ კოლინზიც ამ სტადიაზე იახტაზე ბრძანდება და საჭეს არავის ანდობს. მას მხარს უმშვენებენ ოლიმპიური რეგატის მედალოსანი ჯონ კოსტეცკი და აფრათა ხელოსანი მაიკ ტოპა. კოლინზის გვარად არც ამათ უცურიათ საწყის ორ, მარათონულ სტადიაზე.

„ჩესი" „ლენგვიჯის" შემდეგ დაწინაურდა, მაგრამ გუშინვე გადააბარა პირველობა „ტოშიბას", რომლის სკიპერადაც კეიარდზე უბობოლესმა დენის კონერმა წინა სტადიაზევე დააწინაურა ბრიტი პოლ სტენდბრიჯი. ამან შეიშნო პატივი და თქვა, კონერს მადლობას გამარჯვებით გადავუხდი; მის მოსაპოვებლად ფრთხილად გავირჯები, მაგრამ თუ შანსი მომეცა, მას ხელიდან არ გავუშვებო.

შანსი სტენდბრიჯს ჩრდილო-აღმოსავლეთის, 20-კვანძა პირქარმა მისცა. მის გამო ფლოტი ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ 50 მილზე მარაოსავით გაიშალა. „მეჩი" და „ლენგვიჯი" ნაპირს სხვებზე ნაკლებად დაშორებულან, „ინოვეიშენი" — ყველაზე მეტად.

სტადიაზე სწორედ ამ იახტას შეემთხვა პირველი ავარია. კვირას სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარი რომ ქროდა, გრინვიჩულად 10.30 საათზე ნაოსნობის უმრწემესმა სკიპერმა კნუტ ფროსტადმა შველა ითხოვა, რაკი ანძას ძირი გაელუნა და აქა-იქ ნაპრალებმაც იჩინა თავი.

„ინოვეიშენმა" ლუზა ჩაუშვა და აფრებიც დაკეცა, რათა შვეულმფრენს უხიფათოდ დაეშვა ნავზე უთანამედროვესი სადურგლო იარაღები. მათი გამოყენებით ჭირში ჩავარდნილებმა პრობლემას სულ რაღაც 25 წუთში მოუღეს ბოლო და შეჯიბრი ისე გამეტებით განაახლეს, რომ შემდეგსავე შეჯერებაზე IV პოზიცია ეჭირათ.

ფროსტადის გუნდი სერიოზულად ფიქრობს „ვიტბრედში" გამარჯვებას. სკიპერს გაუაზრებია, რომ ჯამური პირველობა სტადიის მოუგებლადაც შეიძლება. რაკი შეჯიბრი ქულებზეა, სტაბილურობა ხომ ყველაზე მეტად ფასობს. ამასთან, კნუტს ამ სპრინტისთვის გუნდი კიდევ გაუძლიერებია ოლიმპიადების სამგზის პრიზიორი, ბრაზილიელი ტორბენ გრელით და ფრანგი სებასტიან დეტრემოთიც.


ფროსტადი ჭირშიც არ დაიბნა

მიხო ნინუა

მშენებლობა დიზაინი რეკლამა

აკაცია Acacia

ჰორიზონტალური და ვერტიკალური ჟალუზები
დამცავი ჟალუზები
მარკიზები

ფასები გაგაკვირვებთ

ყაზბეგის 42 ტელ 375281 294840

e-mail dato@acacia.postnet.ge

სარბიელი

სპორტული გაზეთი
გამოდის
ორშაბათობით, სამშაბათობით,
ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
ზურაბ მეძველია

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე, ლევან ჯავახიშვილი

კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე

კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კთილაძე

სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ლევან ჩხეიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29